სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 იანვარი 2004 №11 (2030) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანჩაბაძე ბურთს კაი ძმაკაცივით ელაპარაკა

დინამომ ირტიში ჰასით დაამარცხა



ბადრი კეთილაძის ფოტო

სანამ მთავარს ვიტყოდეთ, ობიექტურობის დაცვის მიზნით რამდენიმე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

თანამეგობრობის თასი ის ჯილდო არ არის, მისთვის ბრძოლა ხმელეთის მეექვსედზე მცხოვრები ერებისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყოს.

თანამეგობრობის თასი ის ჯილდოა, რომლისთვისაც ხმელეთის მეექვსედზე მცხოვრები ერების საუკეთესო კლუბების უმეტესობა თავიანთ არცთუ საუკეთესო ფეხბურთელებს აბრძოლებს.

უფრო რომ დავკონკრეტდეთ, ის უნდა ვთქვათ, რომ ყაზახური „ირტიში“ ის გუნდი არ არის, გოლიათად რომ მოვნათლოთ და მისი დამარცხება დავითის გამარჯვებად შევრაცხოთ.

მაგრამ...

ქართული ფეხბურთი ბოლო წლებში ისე დაჩაჩანაკდა, რომ ქართული კლუბის გამარჯვება აღმავლობის დაწყების ნიშნად მიგვაჩნია და ღმერთმა ქნას, ეგრეც იყოს.

ყოვლად სამარცხვინო ზაფხულის მერე, როცა ქართველები უსახელოდ გამოეთიშნენ ევროთასთა საკვალიფიკაციო ეტაპებს, საქართველოს ჩემპიონმა „დინამომ“ დაგვანახა,რომ გუნდია და თამაში შეუძლია. გუშინ „ირტიშის“ ძლევით „დინამომ“ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ახლა სამეოთხედფინალო მეტოქედ ბელარუსული „გომელი“ ელის.

მერმისისა მერე ვთქვათ. აქ კი აღვნიშნოთ, რომ „დინამომ“ „ირტიშთან“ საუცხოოდ ითამაშა და თანამეგობრობის თასის მოთვალთვალეთა შორის უმალ იქცა შეჯიბრის ერთ-ერთი ფავორიტად. ხალხი გამორჩეულად აღაფრთოვანა გიორგი ანჩაბაძის კარგმა თამაშმა, მისმა ტექნიკამ და უ ზუსტესმა, თამაშის გამკეთებელმა პასებმა.

ჯერ ადრეა, მაგრამ „დინამომ“ ეგებ მართლა შეძლოს თბილისში თასის ჩამოტანა, თუმც ასმაგად სასიხარულო იქნება, თუ „დინამო“ მომავალ ზაფხულს ნაღდ ევროთასზე შეძლებს რაიმე სახეიროს გამორჩენას.

იხილეთ მესამე გვერდი

თბილისმა ბათუმი კედელთან მიაყენა

საქართველოს თასის მეორე გათამაშება დასტურ დამაინტრიგებელი გამოვიდა. პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ სატურნირო ვითარება ისე ჩაიხლართა, რომ მეორე ეტაპის ბათუმში ჩატარება სათუო გახდა — და არა დედაქალაქსა და აჭარას შორის ატალახებული პოლიტიკური გზის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ ბათუმის „ბასკო“, ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ვინძლო, საერთოდ ვერ მოხვდეს მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამსვლელ ოთხ გუნდში. გუშინ ბათუმელებმა „სტუ-ჯეოსელთან“ მარცხით გვარიანად გაირთულეს საქმე. დღეს მათ თსუ-სთანაც რომ წააგონ, რუსთავში დაამთავრებენ თასისთვის ბრძოლას. და თუ „ბასკო“ თამაშგარეთ დარჩა, მოისურვებს კი ბათუმი სამი თბილისური და ერთი რუსთავული გუნდის მასპინძლობას? ვინ იცის. ასე რომ, ფაქტობრივად კედელთან მიყენებულმა ნუგზარ კანდელაკმა და მისმა შეგირდებმა დღეს მართლა უნდა მოინდომონ თსუსთან, რომლის ხუთივე დამწყები კალათბურთელი, სხვათა შორის, „ბასკოს“ ყოფილი მოთამაშეა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ნუგზარ კანდელაკს და მის შეგირდებს დიდი გაბრძოლება მოუწევთ

გურამ დოლიძეს ფოტო

მაშინ დიდებულ ალექსანდრეს ფოტო

ჯიევის „დინამო" გერმანიაში და რუიტის სპორტსკოლის ბაზაზე ემზადება. 15 იანვარს ჩასული ჯიეველები ორჯერადი ვარჯიშით განაგრძობენ ახალი სეზონისთვის მზადებას. ჩვენ, ბუნებრივია, ქართველი ფეხბურთელის, ალეკო ამისულაშვილის საქმეები გვაინტერესებს. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ მისი „გამოჭერაც" მოვახერხეთ, სანამ ალეკოს დაუძახებდნენ, გუნდის ექიმიც გვესაუბრა. ჩვენებურს „ჯრეპიში" უწოდა და მისი გამძლეობაც მოიწონა. ამასობაში ალეკოც მონახეს...

ამისულაშვილს დათარსვის გარდა არაფრის ეშინია

— ძალიან გამიხარდა, რომ მითხრეს, თბილისიდან გირეკავენო. საკმაო ხანია, არავინ შემხმიანებია და ვიფიქრე, ხომ არ დავავიწყდით საქართველოში-მეთქი — გვითხრა მეორე ვარჯიშ და ვახშამ მოლეულმა ალეკომ. სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, დაწვრილებით გამოიკითხა დინამოელთა ამბები ესენგეს თასზე. განსაკუთრებით იმან გაახარა, რომ მისმა ბავშვობის მეგობარმა ზურაბ მამალაძემაც ითამაშა. სამაგიეროდ, გული დასწყვიტა იაშვილსა და შუშაკს შორის მომხდარმა გაუგებრობამ. ბოლოს ალეკომ თბილისელების ფინალში გასვლაც იწინასწარმეტყველა და შემდეგ მორჩილ რესპონდენტად იქცა.

— ალეკო, ვეცდები, დიდი დრო არ წაგართვა. ვიცი, დაღლილი იქნები, როგორ მიდის საქმეები?

— ახლა რა გვიშავს, დაღლა კიევში უნდა გენახა, იქ ბურთი თვალითაც არ გვინახავს. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ დატვირთვებსა და გამძლეობაზე იყო. გერმანიაში ორჯერადი ვარჯიშები კი გვაქვს, მაგრამ ახლა ბურთიანად და სხვადასხვა სათამაშო სიტუაციების დახვეწაზე ვმუშაობთ.

— განსხვავებასაც შეამჩნევდი თბილისურ და კიევურ „დინამოებს" შორის...

— რასაკვირველია, ყველა გუნდს თავისი ხელწერა აქვს. აქ მოდუნებას არავინ გაპატიებს, ვარჯიშზეც მუდმივად დაძაბული ხარ. პრესინგის დახვეწაზე გვავარჯიშებენ და უნდა ნახო, როგორ გვგეშავენ.

— კონტრაქტზე გაკვრით მაინც არ გისაუბრიათ?

— არა და, მოდი, კონტრაქტზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ. ყველაფერი კარგად მიდის და არ მიბდა, დავითარსო. 26 იანვარს კიევში ვბრუნდებით და აქ სტაბილურად გაერკვევა ყველაფერი.

— 21 იანვარს „შტუტგარტს" ეთამაშებათ. თუ მაინც მიგიხარია, ამ მატჩში თუ ითამაშებ?

— ალბათ, ვითამაშებ. გადაწყვეტილი არაფერია. მაგრამ ის კი ვიცი, რომ შანსი ყველას მიეცემა. აქ კი სულ პატარა შანსსაც ჩაბღაუჭება სჭირდება, თუ ჩაგეძინა...

— ვინმეს თუ დაუახლოვდი?

— ნომერში მე და პერიცა ოგნიენოვიჩი ვცხოვრობთ და ყველაზე ახლოსაც მასთან ვარ. თუმცა არც სხვა ფეხბურთელებისგან მიგრძვნია ცივი დამოკიდებულება, თბილი ბიჭები არიან. ჰო, მართლა, ჟორდანია თუ გაათავისუფლეს? ამას კიევშიც მეკითხებოდნენ და ახლაც აინტერესებთ...

— ჯერჯერობით არა და კონკრეტული ვადაც არაა ცნობილი. ალბათ ანრი მიშელის დანიშვნის ამბავიც გაინტერესებს, სიახლე არც ამ საქმეშია...

— საწყენია, არადა, უკრაინელები სერიოზულ მეტოქედ მიგვიჩნევენ და საწყენი იქნება, თუ უმწვრთნელობის გამო ისევ შევრცხვებით.

— ესე იგი, კონტრაქტზე კიევში შეგეხმიანო?

— ასე სჯობია, ისე, ხომ გითხარი, თავს კარგად ვგრძნობ, გავშინაურდი და ახლა მიზანს ერთი ნაბიჯიღა მაშორებს. მოკლედ, კიევამდე...

დავით ერაძე

გიოს არაბი ზორიდან ზოდის

მესამე კვირაა, ამ სეზონში ჯერაც უთამაშებელი გიორგი ქინქლაძე ინგლისურ „ლიდსში" ვარჯიშობს და კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას ელის. გეცოდინებათ, ერთ დროს პრემიერლიგის ლიდერთა შორის მოტრიალე და წელგამართული „ლიდსი" ახლა ფინანსურ კრიზისშია, ვალებშია ჩაფლული და ელის მყიდველს, რომელიც ჯერ არ ჩანს. ამბობენ, „ლიდსის" დაპატრონება ვინმე არაბ ბიზნესმენს გადაუწყვეტიაო, თუმც უფრო კონკრეტული ჯერ არაფერი ისმის. „ლიდსის" ამბავი ამ თვის ბოლომდე უნდა გაირკვეს, კლუბი ან გაიყიდება, ანაც ადმინისტრაციულ მმართველობაში გადავა

მაშინ დიდებულ ალექსანდრეს ფოტო

ევროპაში ამ თვის ბოლოს სატრანსფერო სეზონიც იხურება. გიორგი ქინქალძესაც რამდენიმე დღეში მოუწევს ლიდსელთაგან პასუხის მოსმენა, რაც, „ლიდსი" თუ გაიყიდა, ალბათ დადებითი იქნება. ყოველ შემთხვევაში, თავად ფეხბურთელი იმედიანადაა...

— „ლიდსის" მწვრთნელმა სავარჯიშოდ ერთი კვირით მიმიწვია და უკვე ოცი დღეა აქ ვარ — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ — გრეი რომ საჭირო ფეხბურთელად არ მთვლიდეს, აქამდეც გამისტუმრებდა, მაგრამ ჯერჯერობით მისგან კომპლიმენტების მეტი არაფერი მესმის.

— მაშ, რაღას ელით, გააფორმეთ კონტრაქტი...

— კონტრაქტზე ჯერ ლაპარაკიც არ ყოფილა, ყველა ლიდსელი ახალი პატრონის გამოჩენას ელის, ისინიც გაურკვევლობაში არიან და მომავალზე არაფერს ამბობენ. „ლიდსის" მყიდველი თუ ვინმეა, ეს ამ დღეებში გამოჩნდება.

— და შენი საკითხიც მალე გაირკვევა?

— ყველა შემთხვევაში პასუხს მალე გავიგებ, თვის ბოლოს სატრანსფერო სეზონი იხურება.

— კი მაგრამ, თავისუფალი აგენტის სტატუსი გაქვს და სატრანსფერო სეზონის დახურვა შენ არ უნდა გეხებოდეს.

— ეგრეა, მაგრამ კლუბმა ხომ უნდა გაარკვიოს, რისი შესაძლებლობა აქვს. თუ „ლიდსი" გაიყიდება, ფინანსურად წელში გაიმართება და სატრანსფერო საქმეებსაც მიხედავს. ამიტომაც ვამბობ, ჩემი „ლიდსში" დარჩენა-არდარჩენა ამ თვის ბოლომდე გაირკვევა. გაირკვევა კლუბის ამბავიც.

— იქამდე კი მანდ ხარ. ამხანაგურ მატჩებში უნდა გეთამაშა...

— წინა კვირას „ვულვზს" ვუმასპინძლეთ. 10 წუთი ვითამაშე „ლიდსის" სარეზერვოთა შორის, 2:0 მოვიგეთ. ამ კვირაში კი გუნდი მხოლოდ ვარჯიშობს, ინგლისში თასის მატჩებია, საიდანაც „ლიდსი" გავარდნილია.

— თვის ბოლომდე ალბათ მაინც ითამაშებ.

— აუცილებლად, ერთ ამხანაგურს კიდევ მოვასწრებ, მერე კი ან პრემიერლიგაში ვითამაშებ, ან ახალ წინადადებას დაველოდები.

კოტა ინასარიძე

ქუთაისის „ტორპედო" საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას შინ აგრძელებს. რიონისპირელთა ახალი მწვრთნელი ოთარ გაბელია დღეში ორჯერ ავარჯიშებს შეგირდებს და ასე გაგრძელდება 10 თებერვლამდე. მერე ჯი „ტორპედო" თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გაემგზავრება და ყოველწლიურ „პრეზიდენტის თასზე" ითამაშებს. ტურნირზე გაბელია სწორედ იმ გუნდს წაიყვანს, რომელსაც გაზაფხულზე ერროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ზრუნვა მოუწევს – „ტორპედო" უკვე დაკომპლექტებულია

გაბელიას ხუთი თითი
რაც აბადია — აშხაბადია

შეგახსენებთ, იანვარში გუნდიდან ოთხი ფეხბურთელი წავიდა: ვახტანგ ხვადაგიანი, რომან ახალკაცი, ანდრი პოროშინი და ზურაბ მუშკუდიანი. შევსებაზე გაბელიამ უკვე იზრუნა და ახალ გუნდშიც ის ფეხბურთელები მიიყვანა, რომელთა შესაძლებლობები ხუთი თითივით იცის — სულიკო დავითაშვილს, დავით ბოლქვაძეს, ალექსანდრე კოშკაძეს, ლაშა ადუაშვილსა და მალხაზ ჭინჭარაულს თავის დროზე „მერანში" სწორედ იგი წვრთნიდა. ამათ გარდა „ტორპედოს" ახალწვეული თბილისელი გიორგი მემარნიშვილიცაა. ჭინჭარაულზე კი იმის თქმაც შეიძლება, რომ ის უკვე მეორე ფეხბურთელია ვლადიმერ გაბედავას შემდეგ, ვინც დაბეჩავებული ოზურგეთის „მერცხალი" დატოვა. ახლობლებში „ჯვარით" ცნობილი გაბედავა რამდენიმე დღეა, ფოთის „კოლხეთში" ვარჯიშობს.

ქუთათურები თურქმენეთში წასვლამდე 2-3 ამხანაგური მატჩის გამართვასაც გეგმავენ. ოთარ გაბელიას თქმით, წყალტუბოს „სამგურალთან" შეთანხმება უკვე მიღწეულია და „ტორპედო" მეზობელს 26 ან 27 იანვარს გაეჯიბრება.

ბაბა შალამბერიძე

ინგლისი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრიმსბი 1:3 რეიდსემი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
აპრინგტონი 3:0 ტემუორთი

ლიგის თასი
1/2 ფინალი. I მატჩი
არსენალი 0:1 მიდლსბრო

იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი
პარმა 1:1 ლაციო (0:2)

შოტლანდია

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ჰამილტონი 2:1 ფორფარი

თბილისის „დინამომ" ყაზახურ „ირტიშთან" 60 წუთი სამაგალითო ფეხბურთი ითამაშა, დროის ამ მონაკვეთში 5 გოლი გამოაცხო, ექსპერიმენტებისთვისაც მოიცალა და ესენგეს თასის მეოთხედფინალშიც გავიდა



გადო ჯეფერსონის ფოტო

პასისთავი ანჩაბაძე გადაღლას უჩივის

შუშაკმაც, გრაფიკიო, იაშვილმა, გაუგებრობაო

ოვი შუშაკმა ვახშამზე დაგვიანებისა და არაგუნდური საქციელისთვის სანდრო იაშვილი დასაჯა და იგი ტურნირის ბოლომდე გამოიყვანა გუნდის შემადგენლობიდან. დისციპლინა მართლაც რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე ფეხბურთში და ეს უდავოდ ნიჭიერი ფორვარდისთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

მოედანზე მყოფი დანარჩენი დინამოელები კი უკვე მე-4 წუთზე გამოფხიზლდნენ, როდესაც სკოროხის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი გვარამაძემ მოიგერია. თბილისელებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და ამაში ლომის წილი გიორგი ანჩაბაძემ დაიდო, რომელმაც ხუთიდან სამ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და 14 გადაცემიდან 12 ზუსტად შეასრულა. მე-15 წუთზე ანჩაბაძის შორეული პასი ალექსიძემ თავით დაუგდო დარასელიას, რომელმაც ეფექტური გოლი გაუტანა „ირტიშისა" და ყაზახეთის ეროვნული ნაკრების მეკარე ნოვიკოვს. მე-17 წუთზე თავად ანჩაბაძემ მიიღო ალექსიძის პასი და საჯარიმოსთან ფინტების კასკადს მოზომილი და ლამაზი დარტყმაც მიაყოლა ცხრიანში — 2:0. ორიოდ წუთში ნოვიკოვთან დაპირისპირებული მელქაძე ხელოვნურ საფარზე აღმოჩნდა, შეხვედრის არბიტრ ივანოვს სუფთა სინდისით შეეძლო პენალტის დანიშვნა... 25-ე წუთზე დინამოელებმა ანგარიში სამამდე გაზარდეს. ანჩაბაძე-ბურდულის ლამაზ კომბინაციას ასეთივე გაგრძელება მოუძებნა ალექსიძემ: საჯარიმოში უსწრაფესად შეჭრილი მცველებსაც გასცდა და ნოვიკოვსაც, მახვილი კუთხიდან დაარტყა და ანგარიში დამანგრეველი გახადა. ანჩაბაძემ მორიგი უზუსტესი პასით დასარტყმელ პოზიციაზე კვლავ ალექსიძე გაიყვანა, რატის მცდელობა კი, ბურთი თავზე გადაეგდო მეკარისთვის, ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

თბილისელები ისე გაერთვნენ შეტევებში, რომ 42-ე წუთზე საკუთარ კართან უმეთვალყურეო უსმანოვი დარჩათ, რომელმაც სხვაობა შეამცირა. ყაზახებს გოლით ხელრიანად არც გაეხარათ, რომ ანჩაბაძემ თამაშის მშვენება პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ბურდული. ლადომ პარტნიორის უიშვიათესი გადაცემა ჯეროვნად დააფასა და დინამოელები შესვენებაზე სოლიდური სხვაობით — 4:1 გაუშვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უსმანოვმა დუბლი შეასრულა: გვარამაძის წინდაუხედავი გამოსვლით ისარგებლა. 57-ე წუთზე დარასელიამ საჯარიმოში ისე ძლიერად ჩააწოდა, რომ ყველა ყაზახი ფეხბურთელი სტატისტად დარჩა, შაშიაშვილმა კი თავური გაიტანა. ამის შემდეგ შუშაკმა შემადგენლობა გადაახალისა. ანჩაბაძე, მელქაძე, კანდელაკი კარლოსით, ბობოხიძითა და წერეთლით შეცვალა. 77-ე წუთისთვის კი გვარამაძის, ახალაიას, კვირკველიასა და დარასელიას ნაცვლად თავის გამოჩენის შანსი მამალაძეს, ხმალაძეს, ჩიტაიას და სახვაძეს მიეცათ. დარჩენილ დროშიც „დინამოს" გადახალისებული შემადგენლობა აკონტროლებდა ბურთს, „ირტიში" კი ერთადერთ ნუგეშად იმას თუ დაიტოვებს, რომ დავლეტოვმა პენალტით ანგარიში შეამცირა და მეორე ტაიმი 2:1 მოიგო.

შეხვედრის შემდეგ ტრადიციულად დინამოელებს შევეხმიანეთ...

ივო შუშაკი: ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც გუნდის ძირითადი ბირთვის თამაშით. ვფიქრობ, მათ მაყურებლებს დიდი სიამოვნებაც მიანიჭეს. ჩვენ პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. ახლა გაცილებით სერიოზული მეტოქე გველოდება, თუმც არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ვინ იქნება ჩვენი კონკურენტი. უფრო მეტად იმას განვიცდი, რომ ორი ყვითელი ბარათის გამო გოგობერიშვილი დაგვაკლდება, მის შემცვლელზე უნდა ვიფიქრო. თავად ტურნირი საკმაოდ სასარგებლოა, მაგრამ მისი მჭიდრო გრაფიკი, რომელმაც საოცრად გადაღალა ჩემი ფეხბურთელები, გადასახედია.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე **გიორგი ანჩაბაძეც** გადაღლას უჩივის:

— ასე მჭიდრო გრაფიკით ჩვენი კლუბის არც ერთ ფეხბურთელს არ უთამაშია. მეოთხედფინალური მატჩისთვის მთავარი ისაა, დავისვენოთ და ძალები აღვიდგინოთ. „ირტიშთან" მატჩამდე ერთი დღე გვქონდა და კარგადაც გამოვიყენეთ. თუ გადაღლის პრობლემას რამეს მოვუხერხებთ, ტურნირზე ჩვენი შემაჩერებელი გუნდი არ მეგულება.

— „დინამო" გარკვეული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაც იყო: „ირტიშს" დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და ბოლომდე თავისუფლად იბრძოლებდა, თქვენ კი წაგების უფლება არ გქონდათ...

— ჩვენ ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ არ ვართ ის გუნდი, რომელიც ფრეზე თამაშსაა ნაჩვევი. მოსაგებად გავედით და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ, აქედან რაც გამოვიდა, თავადაც ნახეთ.

— პასი მართლაც საუცხოო გამოგივიდა...

— ვიჩალიჩე რა... ხუმრობა იქით იყოს და, უბრალოდ, ფეხბურთია ასეთი, ის ლამაზი მომენტებისგან შედგება. ისეთი სიტუაცი იყო, რომ ასეთ გაგრძელებას ითხოვდა და მეც გავაგრძელე. ისე, არც ჩემს გოლს დაეწუნებოდა რამე.

— მომავალ მეტოქედ ვის ისურვებდი?

— ასე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვი. დასვენებულები ნებისმიერ მეტოქეს გავუსწორდებით. ალბათ დამეთანხმები, რომ ხელოვნურ საფართან დაკავშირებული ყველა სირთულე დავძლიეთ.

ივო შუშაკისგან დასჯილი და ამ ტურნირზე ორი გოლის გამტანი **სანდრო იაშვილი** მაინც არ კარგავს იმედს, რომ მას ესენგეს თასზე თამაშის საშუალება მიეცემა.

— ვერაფერს გეტყვით, უბრალოდ, ვახშამზე ხუთი წუთი დავაგვიანე და შუშაკმა ეს რეჟიმის დარღვევად შეაფასა. არადა, აზრადაც არ მქონდა მსგავსი რამ. თუმცა ის მთავარი მწვრთნელია და მისი გადასაწყვეტია, როგორ დასაჯოს ესა თუ ის ფეხბურთელი. ალბათ იმ მომენტში მართალიც იყო.

— ტურნირზე თამაშის იმედი გადაგეწურა?

— არა. სწორედ ახლა ვაპირებ შუშაკთან დალაპარაკებას და სიტუაციის ახსნას. ვფიქრობ, ჩემს აზრს მოისმენს და შანსს მომცემს. მით უმეტეს, რომ ბევრიც არაფერი დამიშავებია. ვნახოთ, ამ ტურნირზე ისევ მინდა თამაში.

— დასანანია, თავს საკმაოდ დამაჯერებლად გრძნობდი...

— მართლაც არანაირი პრობლემა არ მქონია არც ადაპტაციასთან და არც გამოუცდელობასთან დაკავშირებით. შუშაკიც მენდობოდა და ამ დროს ასეთი გაუგებრობა...





გადო ჯეფერსონის ფოტოები

სანდრო იაშვილს ყმაწვილური გაუფრთხილებლობა ივო შუშაკმა ძვირად დაუსვა

დავით ერაძე

A ჯგუფი. III ტური
20 იანვარი

ცსკა 2:1 რეგარ თადაზი

1:0 მაზალოვი (49), 2:0 სამოდინი (59ჯ), 2:1 ხამიდოვი (85ჯ)

გომელი 2:2 ფახთაქორი

1:0 უსოვი (21), 1:1 მაგდეევი (56), 2:1 ზაბოლოცკი (75), 2:2 ჯეპაროვი (90ჯ)

საბოლოო ცხრილი

ცსკა	3	2	1	0	6:4	7
გომელი	3	1	2	0	6:5	5
ფახთაქორი	3	1	1	1	4:4	4
რეგარ თადაზი	3	0	0	3	2:5	0

B ჯგუფი. III ტური
20 იანვარი

ირტიში 3:5 დინამო (თბ)

0:1 დარასელია (15), 0:2 ანჩაბაძე (18), 0:3 ალექსიძე (25), 1:3 უსმანოვი (43), 1:4 ბურდული (45), 2:4 უსმანოვი (48), 2:5 შაშიაშვილი (56), 3:5 დავლეტოვი (71ჯ)

დინამო: გვარამაძე (მამალაძე 72), ახალაია (ხმალაძე 77), შაშიაშვილი, კანდელაკი (წერეთელი 61), კვირკველია (გ. ჩიტაია 77), ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია (სახვაძე 64), ანჩაბაძე (კარლოსი 61), ალექსიძე, მელქაძე (ბობოხიძე 61)

მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: გოგობერიშვილი, სახვაძე

მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)

1 000 მაყურებელი

სკონტო 7:0 ჟაშტიკი

1:0 მიხოლაპსი (26), 2:0 ბლანკსი (45), 3:0 კალმინშსი (46), 4:0 მიხოლაპსი (51), 5:0 შევლიაკოვსი (58), 6:0 მიხოლაპსი (65ჯ), 7:0 ს. სტარკოვსი (67)

საბოლოო ცხრილი

დინამო (თბ)	3	2	1	0	14:6	7
სკონტო	3	2	1	0	11:3	7
ირტიში	3	1	0	2	8:8	3
ჟაშტიკი	3	0	0	3	2:18	0

C. ჯგუფი. III ტური
20 იანვარი

ფლორა 0:4 დინამო (კ)

0:1 ხაცკევიჩი (12), 0:2 ჩესნაუსკასი (25), 0:3 დ. ვორობეი (60), 0:4 მილევსკი (81ჯ)

ნისა 1:2 პიუნიკი

1:0 ურაზოვი (35), 1:1 პეტროსიანი (89), 1:2 გრიგორიანი (90)

საბოლოო ცხრილი

დინამო (კ)	3	2	1	0	6:1	7
ფლორა	3	2	0	1	3:4	6
პიუნიკი	3	1	0	2	2:4	3
ნისა	3	0	1	2	2:5	1

D ჯგუფი. III ტური
20 იანვარი

შერიფი 1:1 რუსეთი (ახ.)

1:0 ლეანდრო (38), 1:1 საპინი (80)

კაუნასი 3:0 აზერსუნი

1:0, 2:0 ოპიცი (24, 34), 3:0 ჟვინგილასი (83)

საბოლოო ცხრილი

კაუნასი	3	2	1	0	5:0	7
რუსეთი (ახ.)	3	1	1	1	2:3	4
შერიფი	3	0	3	0	1:1	3
აზერსუნი	3	0	1	2	0:4	1

რუსეთი უყონყურსოდ თამაშობდა

მეოთხედფინალი
21 იანვარი

კაუნასი — ფლორა

დინამო (თბ) — გომელი 16.00

დინამო (კ) — შერიფი

ცსკა — სკონტო

კაცი თავისას აკეთებს

მესამე დღეა, ესპანურ შეკრებაზეა მეორებუნდესლიგელი აუე. სხვებთან ერთად მალიორკაში ჩვენებური ხვიჩა შუბითიძეც იმყოფება. შუბითიძის გუნდმა გუშინ მალიორკაშივე მყოფ „ლევერკუზენთან" ითამაშა ამხანაგურად. აუე-ს ოცდაათამდე ფეხბურთელი ჰყავს ესპანეთში ჩაყვანილი. ბუნებრივია, მწვრთნელებს ყველას გამოცდა სურდათ, ამიტომაც შუბითიძემ „ლევერკუზენთან" შეხვედრაში მხოლოდ 25 წუთი დაჰყო მოედანზე, თუმც ეს დრო საკმარისი გამოდგა რუსთაველი ფეხბურთელისთვის თავის გამოსაჩენად.

შუბითიძემ მეოცე წუთზე თავისი გუნდის სწრაფი კონტრიერიშისას დააწინაურა აუე. ხვიჩას ლამაზი გოლი გაუტანია, რაც საგანგებოდ აღნიშნეს მალიორკაში ჩასულმა გერმანელმა ჟურნალისტებმა. შუბითიძის მოედნიდან გასვლისთანავე ბერბატოვმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში, მანვე თამაშის ბოლომდე კიდევ ორი გოლის გატანა შეძლო, მატჩი კი „ლევერკუზენმა" 5:2 მოიგო.

ესპანეთში გამგზავრებამდე აუე შინ ემზადებოდა. ბოლო საშინაო საკონტროლო ერცგებირგელებს „დრეზდენთან" ჰქონდათ. ის თამაშიც უხვგოლიანი იყო და ფრედ — 4:4 დასრულდა. ხვიჩა შუბითიძემ ერთი ტაიმი იკმარა თავის გამოსაჩენად. ქართველის აქტივში გოლი და ორი საგოლე პასი იყო.

პაატა კვანტალიანი

სირაძე 25 იანვარს

ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი დავით სირაძე გუშინ გერმანიაში გაფრინდა.

სირაძის გადაბირება თბილისის „დინამოს" სურდა, მაგრამ შეთავაზებულმა პირობებმა ლოკომოტიველს საქართველოს დატოვება გადააწყვეტინა — სირაძე გერმანიაში „ლოკომოტივს" მწვრთნელ და მენეჯერ გოჩა თამაზაშვილთან ერთად წავიდა.

22 წლის სირაძე მეორე ბუნდესლიგის „უნიონში" შეეცდება დამკვიდრებას. ჩვენებური „უნიონში" სამ ვარჯიშს ჩაატარებს, ხოლო 25 იანვარს ბერლინელები პოლონურ „ვიძევს" გაეჯიბრებიან ამხანაგურად და ამ შეხვედრაში სირაძემაც უნდა ითამაშოს — ტრანსფერის საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება.

თუ სირაძე „უნიონში" ჩაირიცხება, იჯარით იქნება „ლოკომოტივისგან" გაშვებული და სეზონსაც იქ ჩაამთავრებს.

დავით თავართქილაძე

კილასონია გორდას იმედით დაუბრუნდა

რუსთავი ორად გაყოფას გადაურჩა

გადრი კვირკელიძის ფოტო

ცოტა ხნის წინ „გორდას“ უნიათობით აღშფოთებულმა ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა ახალი საფეხბურთო კლუბის —„რუსთავის“ შექმნა გადაწყვიტა. საამისოდ მინდელს წლეულს ბიუჯეტიდან გამოყოფილი 84 ათასი ლარის და აქციონერთა იმედი ჰქონდა, თუმც ახალი კლუბი პრობლემებს ვერ ასცდებოდა, რადგან რუსთავული სტადიონის ერთპიროვნულ მფლობელებად „გორდას“ მესვეურები ითვლებიან. მოკლედ, იმთავითვე ჩანდა, რომ საუკეთესო გამოსავალი ორ მხარეს შორის მოლაპარაკება იქნებოდა. ეს შეხვედრა უკვე შედგა და შეთანხმებითაც დასრულდა, რამაც „გორდაში“ ცვლილებები გამოიწვია. ქალაქის მერია და საკრებულო კლუბის პარტნიორები გახდნენ, „გორდას“ მთავარ მწვრთნელად კი ვარლამ კილასონია დაინიშნა.

ვარლამ კილასონია ორი წლის წინ, მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატშიც წვრთნიდა „გორდას“, მაშინ ახალბედა მწვრთნელმა სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე ჩაიბარა ფაქტობრივად გავარდნის პირას მყოფი გუნდი და სასწაულებრივ შეუნარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. რუსთაველებს ახლაც ეიმედებათ კილასონიასი და მიზნად უმაღლეს ლიგაში დაბრუნება დაუსახავთ.

„გორდაში“ დარჩება ლამის კლუბის სიამბოლოდ ქცეული იასონ ალადაშვილი, ყოფილი მთავარი მწვრთნელი კილასონიას თანაშემწე იქნება.

— დღეს პირველად ვავარჯიშე გუნდი. 40 ფეხბურთელი ისინჯება, ძირითადად ახალგაზრდები არიან. შაბათ-კვირას, საკონტროლო თამაშების შემდეგ, გაცხრილვას მოვახდენ, მერე კი გამოცდილთა დამატებაზე ვიფიქრებთ. მოსამზადებელ ეტაპს მხოლოდ რუსთავში გავივლით, თუმც, მიუხედავად ამისა, მაინც ვიმედოვნებ, რომ მეორე წრეში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ — გვითხრა გუშინ ვარლამ კილასონიამ.

პაატა კვანტალიანი

ბათუმი შესუსტდა

უმიშაო სამუშაო ძნელია

ზუსტად ერთი კვირაა, „ბათუმი“ ჩემპიონატისთვის ემზადება. ზღვისპირელები შესუსტებული შემადგენლობით 10 იანვარს შეიკრიბნენ, სამედიცინო შემოწმება გაიარეს და ვარჯიში ოთხ დღეში დაიწყეს. შესუსტებულიო, ვთქვით და, ბარემ აქვე გეტყვით, რომ გუნდი მთავარმა ბომბარდირმა მიხეილ კაკალაძემ დატოვა. დაახლოებით ერთი თვის წინ ბევრი ლაპარაკი იყო კაკალაძის მსურველ კლუბებზე: თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“... თუმც ახალგაზრდა თავდამსხმელმა საქართველოში კარიერის გაგრძელება არ ისურვა და რევაზ ჩელებაძის დახმარებით რუსულ „სატურნში“ ამოჰყო თავი. და სწორედ აქ უმუხთლა ბედმა — დედა გარდაეცვალა და, ცხადია, „სატურნი“ გვერდზე დარჩა...

ახლა კი მიშა მახაჩყალის „ანჟიში“ ცდილობს მოწყობას. „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გუშინ საბოლოოდ დაგვიდასტურა, რომ კაკალაძემ გუნდი დატოვა:

— მიშა იჯარის წესით გვყავდა წამოყვანილი „ქობულეთიდან“ და ამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. კაკალაძე ჩვენთან არ ითამაშებს. როგორც ვიცი, ის ახლა „ანჟიშია“, თუმც გაფორმა თუ არა კონტრაქტი, ვერ გეტყვით.

ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ მახაჩყალელები ახლა თურქეთში ემზადებიან საახალსეზონოდ და ამ გუნდში არიან კახა ცხადაძე და კახა მჟავანაძე.

თემურ ბეჟანიძეს კი „ბათუმში“ მომხდარ სხვა სიახლეებზეც ვკითხეთ:

— კაკალაძის გარდა „ბათუმიდან“ გეგეშიძე, კაჭარავა და შენგელია წავიდნენ. ჯერჯერობით არ უვარჯიშიათ ნიკა გუშარაშვილსა და ნუკრი მანჩხავას, თუმც ისინი ალბათ გუნდში დარჩებიან. ყოველ შემთხვევაში, გუშარაშვილიც და მანჩხავაც თბილისის „დინამოდან“ 2004 წლის მაისამდე ვინათხოვრეთ.

ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა, სად გაივლის შეკრებას „ბათუმი“. კლუბის ხელმძღვანელებს უცხოეთში მომზადება კი სურთ, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს ამბობენ.

კახა შალამბერიძე

გაცვითეთ ქაცვები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილის დაწერა უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულმა ერთმა ინფორმაციამ გვაფიქრებინა. ამბავი ესტონეთის ევრორეკორდს ეხება. რა გააკეთეს ასეთი ესტონელებმა?

31 მარტს ამ ქვეყნის გუნდი ტალინში ჩრდილოეთ ირლანდიას მასპინძლობს ამხანაგურად. ბალტიისპირელებმა ბევრი იჯახირეს, ბრიტანელები თამაშზე რომ დაეყაბულებინათ (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ) და მიაღწიეს ჯიდეც საწადელს

გადრი კვირკელიძის ფოტო

ჩვენი ნაკრები გაუთხოვარი ქალივითაა – სახლში ზის

თითქმის ერთი წელი მოანდომა ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამხანაგური თამაშის თაობაზე დანიელთაგან თანხმობის მიღებას. შევნიშნოთ, რომ მეორე მსოფლიო ომამდე დამოუკიდებელ ესტონეთს თითქმის ყველა ჩრდილოევროპელ სახელმწიფოსთან ჰქონდა ბურთი გაგორებული დანიელთა გარდა. ვიკინგებს ესტონელები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ვერ შეხვდნენ, მაგრამ წლეულს, 30 მაისს ტალინში ორი ქვეყნის სანაკრებო გაცნობა მოხდება.

ახლა ის ვიკითხოთ, რატომ ეშურებოდნენ ასე გამალებით ესტონელები ჩრდილოეთ ირლანდიასთან და დანიასთან შეხვედრას. საქმე ის გახლავთ, რომ ესტონეთს დღემდე 44 ევროპული ქვეყნის ნაკრებთან უთამაშია ფეხბურთი. ჩრდილოეთ ირლანდია ორმოცდამეხუთე ევრომეტოქე იქნება ბალტიისპირელთათვის, დანია — ორმოცდამეექვსე. ესტონელებს ბედმა გაუღიმა, მომავალ შესარჩევ ციკლში სლოვაკეთი ჩაუსვა ქვეჯგუფში მეტოქედ და ამ ქვეყნის ნაკრები ორმოცდამეშვიდე იქნება პოსტსაბჭოელთათვის. და მთავარი — უეფა თავის რიგებში 52 ქვეყანას აერთიანებს. რაღა რჩება სრულ კოლექციამდე? სულ რაღაც ოთხი თამაში. უეფას წევრი ქვეყნებიდან ესტონეთი მხოლოდ საფრანგეთს, ესპანეთს, ინგლისსა და ახლახან ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ სერბეთს არ შეხვედრია. თუმც 47 ევრომეტოქესთან მსოფლიოში არავის უთამაშია და ესტონეთი უკვე რეკორდსმენია.

ახლა კი ის პარალელი, ამ ამბის შეტყობისას ბუნებრივად რომ დიბადა.

ამას წინათ ჩვენი მომავალი მეტოქე უკრაინელების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა განაცხადა — ნაკრებისთვის გამოსაცდელი თამაში ყოველთვის სასარგებლოა, მეტოქეს არა აქვს მნიშვნელობა, სარგებლობის ნახვა ლუდის ქარხნის მუშებთან გაჯიბრებითაც შესაძლებელია, მთავარია თამაშები იყოსო.

საკონტროლო თამაშს მართლაც ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია ნებისმიერი რანგის გუნდისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამხანაგურ შეხვედრებში მწვრთნელებს ფეხბურთელთა შერჩევა-გამოცდის, სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავების საშუალება აქვთ.

ამხანაგური თამაშების სიმწირე დღემდე აქილევსის ქუსლია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის.

რეკორდსმენ ესტონეთთან გაჯიბრება არც ღირს. საქართველოს მხოლოდ 28 ევროპულ ნაკრებთან უთამაშია და წლეულს თუ არა, გაისად ეს რიცხვი 30-მდე ავა, რადგან მსოფლიოს შესარჩევში აქამდე უცნობი დანია და ყაზახეთი გველიან. აქვე ისიც ვთქვათ, რომ 28 ნაკრებიდან თერთმეტთან ჩვენებს სავალდებულო თამაშები ჰქონდათ, რაკიღა ამათთან ევრო და მსოფლიოს შესარჩევი ეტაპებისას მოგვიხდა ნაცნობობა. გამოდის, „შინდისფერებს“ ამხანაგურად მხოლოდ 17 ქვეყნის ნაკრებთან უბურთავიათ, მაშინ, როდესაც იგივე ესტონეთმა „ამხანაგური გზით“ 32 ნაკრები შემატა კოლექციას.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვისთან თამაშობდა საქართველო ამხანაგურად. „შინდისფერები“ ყველაზე ხშირად აზერბაიჯანთან იცდებოდნენ. მეზობლებს საკონტროლოდ ხუთჯერ შეხვედრია ჩვენი გუნდი. ქართველთა „საამხანაგო ნადავლში“ ძირითადად პოსტსაბჭოური ქვეყნები ხვდებოდნენ ლუქსემბურგთან, მალტასთან, ისრაელთან და კვიპროსთან ერთად. ევროპაში შედარებით სახელიანთაგან ჩვენებს რუმინეთთან, ნორვეგიასთან და თურქეთთან უბურთავიათ.

12 წელიწადში 43 ამხანაგური თამაში — ასეთია საქართველოს მონაგარი, თანაც 11 შეხვედრა ჩვენებმა მაშინ გამართეს, ვიდრე პირველ შესარჩევ ეტაპზე ჩაებმებოდნენ. მას მერე კი მთელი 10 წელი გავიდა. ცოტა მათემატიკას თუ მოვიშველიებთ, გამოდის, რომ საქართველო საშუალოდ სამ სანაკრებო საკონტროლო მატჩს ატარებს წელიწადში. ეს ძალიან ცოტაა წინსვლისთვის და ამბიციების დასაკმაყოფილებლად. დაბალი რანგის კვიპროსის ტურნირი რომ არა, ჩვენები წლეულს მხოლოდ ესტონეთთან ამხანაგური მატჩის იმედად იქნებოდნენ. იმავე ესტონეთს კი ამ სეზონში ერთობ შთამბეჭდავი საკონტროლო კალენდარი აქვს. თავად განსაჯეთ, ბალტიისპირელები 11 ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

თქვენ როდის ითამაშებთ, ქართველებო?

პაატა კვანტალიანი

ქართველებმა ამხანაგურად ბოლოს შარშანწინ, თურქეთთან ითამაშეს და 0:3 წააგეს

გადრი კვირკელიძის ფოტო

დიდი ანჯელოდან პატარა ანჯელომდე

მორატების ოჯახმა ინტერი დათმო

ნათქვამია, ორშაბათი მძიმე დღეაო, მაგრამ, ალბათ, ახალი სამუშაო კვირის გამოა ასე, ხოლო თანამდებობიდან გადასადგომად როგორია, მასიმო მორატის უნდა ვკითხოთ — „ინტერის“ მილიონერი მენავთობე პრეზიდენტი „შავ-ლურჯი“ კლუბის მთავარგამგებლის სავარძელს სწორედ ორშაბათს გამოეთხოვა.

შავ-ლურჯები პირელიმაც მიატოვა


ჯაჩინტო ფაკეტი

მასთან ერთად კლუბის დირექტორატი დატოვეს მისმა ვაჟმა ანჯელო მარიომ და შვილიშვილმა ანჯელომ. გადადგა მავანი პაოლო გიულინიც, რომლის შესახებ ვერაფერს გეტყვით, შესაძლოა, ისიც ოჯახის რამენაირი წევრი იყოს. საინტერესოა, რომ მასიმო მორატიმ „ინტერის“ პრეზიდენტობა თვალის რამდენიმე დახამხამებით 1999 წლის მაისშიც დატოვა, მაგრამ დღევანდელ გადადგომას სხვა პირი უჩანს. არადა, მორატების ლტოლვა „ინტერისადმი“ ძლიერია, რადგან ამ მილანური კლუბის ისტორიის ყველაზე დიადი ეპოქა მასიმოს მამის, ანჯელოს ხელმძღვანელობის დროს იყო და შთამომავლებს განცდაც შესაბამისი აქვთ. რაც შეეხება ორშაბათს გადამდგარ პრეზიდენტს, იგი მამის კვალს 1995 წელს ჩაუდგა და კლუბის ასაღორძინებლად გვარიანი თანხაც დახარჯა, მაგრამ ვაგლახ, შედეგს ვერ მიაღწია — „ინტერი“ აგერ უკვე თოთხმეტი წელიწადია იტალიის ჩემპიონი არ ყოფილა, ერთხელ მოპოვებულ უეფას თასს კი იქ, მილანში, ეტყობა დიდად არაფრად თვლიან.

მიმდინარე სეზონში მორატიმ, მოგეხსენებათ, მწვრთნელი გამოცვალა, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის საქმე ალბერტო ძაკერონის გადააბარა და თავიდან თითქოს საქმე კარგადაც წაუვიდა, მაგრამ მერე ყველაფერი აიწეწა და თან ნუ იკითხავთ როგორ. ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ იტალიური ფეხბურთის მთავარი ბომბარდირი და ვარსკვლავი, კრისტიან ვიერი თასზე „უდინეზესთან“ თამაშს გაექცა, რამაც ძაკერონი მეტისმეტად გააბრაზა და ფორვარდი შემდგომ შეხვედრაში „ემპოლისთან“ დასჯის მიზნით აღარ ათამაშა — ეს ჩემპიონატის მატჩი გახლდათ, რომელიც „ემპოლიმ“ მოიგო.

ზემოთ მორატის ოჯახის ის წევრები ვახსენეთ, რომლებიც მასთან ერთად წავიდნენ „ინტერიდან“, მაგრამ არაფერი გვითქვამს კლუბის აქციათა 20 პროცენტის მფლობელზე, ჩვენშიც კარგად ცნობილ კონცერნ „პირელიზე“, რომელსაც „შავ-ლურჯთა“ სალაროში გვარიანი თანხა შეჰქონდა და როგორც ამბობენ, ბრაზილიელი რონალდოს შეძენის საქმეში ლომის წილი ედო. ამ კონცერნის თავმჯდომარე მარკო ტრონკეტი პროვერა იმავდროულად „ტელეკომ იტალიას“ პრეზიდენტიც გახლავთ, ხოლო „ინტერისა“, როგორც გაირკვა, აღარაფერია — მორატისთან ერთად იგიც წასულა „სან სიროდან“.

ასე და ამგვარად, „ინტერის“ ცხოვრებაში ახალი ერა იწყება. დროებით პრეზიდენტობის ტვირთი წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ჯაჩინტო ფაკეტის აწევს. დანარჩენი კი მერე გაირკვევა. ხოლო ჩვენ ისე, ლაღობისთვის დავძინოთ, რომ მასიმო მორატის ხელში „ინტერს“ ცხრა წელიწადში რვა მწვრთნელი შეეცვალა.

ერროვნული ბიბლიოთეკა
მარკო ტრონკეტი პროვერა

პაპუნა კედია

კანონმორჩილი!

ჰოლინა საპენსიოდ ემზადება

მაშ ერთი წელიც და საფეხბურთო მსოფლიო პიერლუიჯი კოლინას არივედერჩის ეტყვის — იტალიური კანონებით მსოფლიოს საუკეთესო მსაჯს საპენსიო ასაკი უწევს

„2005 წლის ივნისში, 45 წლისა, მსაჯობას თავს დავანებებ. ასე წესების გამო უნდა მოვიქცე, — განუცხადა სააგენტო ANSA-ს უთმო არბიტრმა — რა თქმა უნდა, ამის გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ საბუთებში დაბადების თარიღად ესა და ეს წელი მიწერია გულდასაწყვეტია, მაგრამ მსაჯი ვარ, მსაჯები კი კანონმორჩილი ხალხი გახლავართ“.

კოლინა, რომლის კარიერის მწვერვალად, ალბათ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უნდა მივიჩნიოთ, საერთაშორისო სარბიელს ევრო 2004-ზე ანებებს თავს. თუმცა არის ასეთი წესიც: თუ იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა გამონაკლისი დაუშვა, მაშინ კონკრეტული რეფერის მოღვაწეობის გაგრძელების ექსკლუზიური უფლება მიეცემა... ოღონდ ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა.

„სპორტში გვაქვს ცალკეული შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ადამიანი ძალიან დიდხანს, განსაკუთრებული წარმატებით მოღვაწეობს. მაგალითად, შეგვიძლია დინო ძოფი და რობერტო ბაჯო დავასახელოთ“ — ამბობს მსაჯი, რომელიც თებერვალში 44 წლისა შესრულდება.

მის მიერ დასახელებული ძოფი მართლაც საგანგებო შემთხვევაა. 1982 წელს, 40 წლისა, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა — იტალიის ნაკრების კარს იცავდა.

კოლინას მსოფლიოში იმ მსაჯის რეპუტაცია აქვს, რომელიც სისულელეებს არ სჩადის. მას ხშირად უშვებენ ურთულესი მატჩების გასაძღოლად, რისი ერთ-ერთი მაგალითიც შარშანდელი 11 ოქტომბრის მატჩი გახლავთ თურქეთსა და ინგლისს შორის. იგი ზედიზედ ულიარებიათ მსოფლიოს საუკეთესო მსაჯად, ხოლო გასულ კვირაში ზედიზედ მეორედ იტალიის საუკეთესო არბიტრად დაასახელეს.

პიერლუიჯი კოლინამ მრავალი ენაიცის, გახლავთ კონსულტანტი ფინანსთა საკითხებში და ეკონომიკაში დისერტაცია აქვს დაცული. თინეიჯერობისას კოლინა თავად თამაშობდა ფეხბურთს და როგორც ამბობს, ორჯერ მოედნიდან გაუძევებიათ კიდეც. სერია A-ში პირველი მატჩი 1991 წლის დეკემბერში იმსაჯა და რომელიღაც ამერიკული ტელესერიალის გმირის, მელოტი დეტექტივის ხათრით „კოჯაკი“ შეარქვეს. კოლინამ იმსაჯა 1996 წლის (ატლანტის) ოლიმპიადის ფინალი და 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის დრამატული ფინალი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბაიერნს“ შორის, ხოლო მუნდიალის ფინალზე უკვე მოგახსენეთ. და ბოლოს, თურმე პიერლუიჯი კოლინას საყვარელი გუნდი ფეხბურთს სულაც არ თამაშობს, რადგან კოლინა კალათბურთის ქომაგი ყოფილა.

პაპუნა კედია

გვიდოლინის ნისლიანი მზერა

ამბობენ, ფრანჩესკო გვიდოლინი სერსე კოზმის შეცვლისო



„ანკონასა“ და „პერუჯას“ უგოლო თამაშს ფრანჩესკო გვიდოლინი ესწრებოდაო. ამ ცნობამ დაუყოვნებლივ დაარხია ხმები იმის თაობაზე, რომ „პერუჯა“ თანამდებობიდან სერსე კოზმის ათავისუფლებს. მოგეხსენებათ, პერუჯელებს ამ სეზონში ერთი თამაშიც არ მოუგიათ და სერია A-დან გავარდნის რეალური საშიშროების წინაშე დგანან.

„გუნდი აშკარად შეზღუდულია და ვერც მტკიცე ხასიათით დაიკვეხნის — თქვა ამასწინათ კოზმიმ — საჭიროა სწორად მივხვდეთ, ცუდი შედეგები მწვრთნელის ბრალია თუ ფეხბურთელის უვარგისობის. თუ კლუბი მეთანხმება და ახალ მოთამაშეთა შეძენას მართლა აპირებს, მაშინ უნდა იჩქაროს. რაც შეეხება ფაბრიციო რავანელის, დიახ, მისი გამოყენება შეიძლება...“

მაგრამ რას ფიქრობს ყოველივეზე „პერუჯას“ პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი? დანამდვილებით არავინ იცის, იგიც ასე ხელაღებით ფეხბურთელებს აბრალებს ყველაფერს თუ კოზმისაც ავი თვალით უყურებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ფაბრიციო რავანელის მეტი არავინ უყიდია, რავანელი კი დიდი ხანია ახალგაზრდა აღარ არის.

მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ თქვა, რომ „ანკონასა“ და „პერუჯას“ შეხვედრას ფრანჩესკო გვიდოლინი მაინცდამაინც „პერუჯას“ გამო ესწრებოდაო? განა „ანკონას“ 17 თამაშში მხოლოდ ხუთი ქულა რომ აქვს მოგროვებული, საკმარისია?

პაპუნა კედია

ლორან რობერის საოცარი გოლი

ნახეთ რობერი?

საჰა ნიუკასლშიც გამოლანძღეს

ინგლისი

პრემიერლიგა. XXII ტური

ნიუკასლი 3:1 ფულემი

1:0 ობრაიენი (4), 2:0 სპიდი (41), 3:0 რობერი (54), 3:1 დევისი (74)

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ვუდგეიტი, ობრაიენი, ბერნარი, სოლანო (ამბროზი 84), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 84), დაიერი, შირერი (ამეობი 84)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ფულემი: ვან დერ სარი, ჯეტუ, გომა, ნაითი, ლეგვინსკი (ვოლეი 18), შ. დევისი, კლარკი, მალბრანკი, ბოკანეგრა, ბოა მორტე, ჰეილსი (სავა 66)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ჯეტუ

მსაჯი: ბერი

50 104 მაყურებელი

ამ დილას ფეხბურთის მოყვარეს ერთი საქმე უნდა ჰქონდეს: თუ გუშინ არ უნახავს, დღეს მაინც უნდა გამოიჭიროს რომელიმე ტელეარხზე ლორან რობერის გოლი. ეს საოცარი გოლი იყო და მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ საქმეში ქუსლი გაერია.

„ნიუკასლმა“ 3:1 მოუგო „ფულემს“, რომლის გულშემატკივრებიც მანჩესტერისკენ დაძრული ლუი საჰას სალანძღავი ტრანსპარანტებით ჩავიდნენ „სენტ ჯეიმს პარკზე“.

მასპინძლებმა ორი ბურთით მოიგეს პირველი ტაიმი: ჯერ ენდი ობრაიენმა გაიტანა, მერე კი გარი სპიდმა შეაგდო თავით ნოლბერტო სოლანოს კუთხურის შემდეგ. შესვენების შემდეგ რობერმაც გაიტანა და ფულემელმა შონ დევისმა მხოლოდ თამაშის ბოლოსკენ შეძლო ერთი გოლის გაქვითვა.

სტუმართა მენეჯერმა კრის კოულმენმა საჰა მოედანზე აღარ გამოიყვანა, მის ნაცვლად მოთამაშე ბარი ჰეისლის კი მეტად გაუჭირდა. პირველი ორი გოლი „ფულემმა“ კუთხურების შემდეგ გაუშვა, რაც მათი დაცვის მთვლემარე განწყობას უნდა მიეწეროს.

ამ გამარჯვებით „ნიუკასლმა“ ორი გოლით გადაუსწრო „ფულემს“, ერთით კი „ლივერპულს“ და კვალში ჩაუდგა მეოთხე ადგილზე მომაგრებულ „ჩარლტონს“, რომელსაც ოთხი ქულით ჩამორჩება.

ირაკლი გამყრელიძე

არსენალი	22	15	7	0	42:14	52
მანჩესტერი	22	16	2	4	40:15	50
ჩელსი	22	14	4	4	40:17	46
ჩარლტონი	22	10	7	5	31:23	37
ნიუკასლი	22	8	9	5	30:23	33
ლივერპული	21	9	5	7	31:23	32
ფულემი	22	9	4	9	34:32	31
საუთჰემპტონი	22	8	6	8	21:18	30
ბირმინგემი	21	8	6	7	19:25	30
ბოლტონი	22	7	8	7	26:33	29
ტოტენჰემი	22	8	3	11	26:31	27
ასტონ ვილა	22	7	6	9	21:27	27
მიდლსბრო	21	6	7	8	20:26	25
ევერტონი	22	6	6	10	25:29	24
სიტი	22	5	8	9	31:33	23
ბლეკბერნი	22	6	5	11	32:36	23
პორტსმუთი	22	6	4	12	25:33	22
ლესტერი	22	4	8	10	31:38	20
ვულვზი	21	4	6	11	19:43	18
ლიდსი	22	4	5	13	19:44	17

მანჩესტერის ფანდი

ასოციაციამ ფერდინანდის საჩივარი ჩაიბარა

რიო ფერდინანდმა ფეხბურთის ასოციაციაშივე გაასაჩივრა ამავე დაწესებულების მიერ მისთვის გამოტანილი რვათვიანი სასჯელი, რომელიც მან სადოპინგო ტესტის გაცდენისთვის მიიღო.

„მანჩესტერის“ მცველი ფიქრობს, რომ თუ მისი საჩივარი ყურად იღეს, მაშინ ის ევრო-2004-ზე ითამაშებს ინგლისის ნაკრებში.

რახან საჩივარი მიიღო, ახლა ასოციაცია სამკაციან დამოუკიდებელ კომისიას შექმნის, რათა ფეხბურთელის ქაღალდები კიდევ ერთხელ განიხილოს.

ფერდინანდს მსჯავრი შობამდე დაედო და რვათვიანი უქმობა წესით გუშინდლიდან დაეწყო. მისი საჩივარ-კასაციის განხილვა მარტის პირველ რიცხვებამდე ვერ მოხერხდება და ამიტომ ჯერაც გაურკვეველია, მომჩივან კაცს შეუძლია თუ არა საქმის ხელახალ განხილვამდე თამაში. ეს „მანჩესტერის“ უფროსობის კარგად მოფიქრებული ფანდი ჩანს: პროცესის გაწელვით რიოს ძირითადში თამაში გახანგრძლივოს. ამის ნიშანია, რომ მცველმა სწორედ აკრძალვის თარიღის წინადღით შეიტანა საჩივარი.

გასულ პარასკევს კი „მანჩესტერმა“ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რიოს დასჯამ კლუბში დისკუსიები, ფეხბურთელთა და ვექილთა საუბრები გამოიწვია.

„ფერდინანდი აღიარებს, რომ ტესტი გააცდინა, თუმცა, ამტკიცებს, რომ ეს განგებ არ გაუკეთებია. ის ბოდიშს იხდის და აცხადებს, რომ თავის არიდების საგანგებო მიზეზი არ ჰქონია“ — აცხადებს „მანჩესტერი“.

ირაკლი გამყრელიძე

მე ვიცი, რა ხდება არსენალში

გულიტმა ვან პერსის ფეიეენოორდი ურჩია

„არსენალს“ „ფეიეენოორდის“ განაპირა ნახევარმცველი რობინ ვან პერსი მონდომებია. როტერდამელთა საგანგებო საქმეების მენეჯერის, იან სვარტის განცხადებით, ინგლისის პრემიერლიგის ლიდერი 20 წლის მოთამაშის შეძენას იანვრის ბოლომდე ეშურება.



რობინ ვან პერსი

„ლონდონელებმა სერიოზული წინადადებით მოგვმართეს, ჩვენმა პრეზიდენტმა იორიენ ვან დენ ჰენიკმა კი უკვე უპასუხა. შემოთავაზება იმდენად ღირებული იყო, რომ იგი სამომავლო მოლაპარაკებათა საფუძვლად შეიძლება იქცეს“ — თქვა მენეჯერმა.

ვან პერსის კონტრაქტს „ფეიეენოორდთან“ ვადა გაისად ეწურება და რაც მთავარია, რამდენიმე ცდის მიუხედავად მისი გაგრძელების წინაპირობა არ ჩანს. მოთამაშის მრჩეველი ერვინ ბონაკერი ამბობს, რომ მისმა კლიენტმა როტერდამის კლუბს ნათლად უთხრა, ახალი ხელშეკრულების დადებას არ ვაპირებ, ვინაიდან კარიერის გაგრძელება უცხოეთის რომელიმე ძლიერ გუნდში მსურსო.

„ამწუთას არავის არაფერზე ვურიგდებით, მაგრამ როგორც კი „ფეიეენოორდი“ და „არსენალი“ მოილაპარაკებენ, საქმეში ჩვენც ჩავერთვებით“ — განაცხადა მრჩეველმა.

რაც შეეხება წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, რუუდ გულიტს, რომელიც ამ სეზონის დამთავრების შემდეგ „ფეიეენოორდის“ მწვრთნელი გახდება, იგი ამბობს, რომ რობინ ვან პერსის წასვლის ამბავი არ სიამოვნებს.

„თუ მომავალთან დაკავშირებით ჭოჭმანობს, მოვიდეს ჩემთან და მე დარჩენას ვურჩევ. მერწმუნეთ, ეს მხოლოდ კლუბის ინტერესში არ არის, ეს მის ინტერესშიცაა. ვიცი, „არსენალის“ ტიპის კლუბებში რაც ხდება და ისიც ვიცი, რომ რობინს რამდენიმე წელიწადის განმავლობაში ძირითადში არავინ ათამაშებს. აბა, თავად დაფიქრდით, განა წარმოსადგენია, რომ რობერ პირესი სათადარიგოთა სკამზე დაჯდება, ხოლო რობინ ვან პერსი მოედანზე ირბენს? ერთი სიტყვით, თუ იგი როტერდამში დარჩება, მე მხოლოდ გამიხარდება, ოღონდ ერთიცაა, გუნდში მხოლოდ ის ფეხბურთელები მჭირდება, ვინც მონდომებულია და გონება არ გაურბის“.

ხოლო „არსენალი“ რობინ ვან პერსის გარდა „პარმას“ ფრანგი მეკარის, სებასტიან ფრეის შეძენასაც ფიქრობს და მასში 7 მილიონს იხდის. როგორც ფრანგული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ლონდონელები პარმელებთან უკვე ინტენსიურ მოლაპარაკებას ეწევიან. თურმე მეკარის შეძენა „ჩელსისაც“ სურდა, მაგრამ ფრეიმ ასე განაცხადა:

„არ მინდა ენობრივ ბარიერს გადავაწყდე. არსენ ვენგერს ველაპარაკე და ვიცი, რომ ის მელოდება. იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ, ოღონდ, სამწუხაროდ, „პარმას“ ფული სჭირდება და მე აქ ველარ დავრჩები. ჩემს ფასად 10-12 მილიონი ევროა გამოცხადებული. ეს მომწონს და ხელს მაძლევს“.

პაპუნა კედია

პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური

ამადორა 2:2 ბელენენსეში

0:1 ლეონარდუ სილვა (35), 0:2 უგო კარეირა (43ს.ჯ.), 1:2, 2:2 ხულიო სეზარი (88ჯ, 90)

ლეირია 0:0 გიმარაეშში

პორტუ	18	15	3	0	42:11	48
სპორტინგი	18	14	1	3	35:17	43
ბენფიკა	18	11	4	3	37:19	37
ბრაგა	18	10	3	5	20:19	33
ბეირა მარი	18	9	4	5	28:22	31
მარიტიმუ	18	7	8	3	20:17	29
ბოავიშტა	18	7	6	5	17:14	27
ნასიონალი	18	7	3	8	27:19	24
ჟილ ვისენტე	18	5	7	6	25:21	22
რიუ ავე	18	5	7	6	19:16	22
მორეირენსე	18	5	5	8	15:23	20
ბელენენსეში	18	4	7	7	23:31	19
ლეირია	18	5	4	9	21:30	19
ალვერკა	18	5	3	10	18:24	18
გიმარაეში	18	3	6	9	18:25	15
აკადემიკა	18	4	3	11	14:23	15
ფერეირა	18	4	2	12	10:28	14
ამადორა	18	3	2	13	14:44	11

იტალია

სერია B. XXIII ტური

აველინო 0:0 კატანია

ატალანტა	23	11	12	0	32:15	45
ტერნანა	23	13	5	5	36:22	44
პალერმო	23	11	9	3	32:16	42
მესინა	23	9	10	4	31:23	37
პიაჩენცა	23	10	7	6	23:19	37
ლივორნო	23	8	11	4	27:22	35
კალიარი	23	9	7	7	39:27	34
ტორინო	23	8	9	6	31:23	33
ტრიესტინა	23	8	8	7	31:31	32
კატანია	23	8	7	8	29:26	31
ტრევიზო	23	7	10	6	27:25	31
ასკოლი	23	8	7	8	29:29	31
ფიორენტინა	23	7	10	6	26:29	31
სალერნიტანა	23	8	6	9	20:24	30
პესკარა	23	7	8	8	19:26	29
ალბინოლეფე	23	7	7	9	22:28	28
ნაპოლი	23	4	15	4	17:18	27
ვიჩენცა	23	5	11	7	20:22	26
ვერონა	23	5	9	9	26:31	24
ვენეცია	23	4	11	8	19:24	23
ბარი	23	5	7	11	24:32	22
ჯენოა	23	4	10	9	19:31	22
კომო	23	4	7	12	16:30	19
აველინო	23	0	9	14	16:38	9

ხაიმე ორტის სიმართლე

ბარსელონა ისვენებს, ახლა ვალენსიას დროა

ვიდრე ესპანური კოპა დელ რეის მეოთხედფინალურ შეხვედრამდე ოდენ რამდენიმე საათი რჩება, პრიმერადივიზიონის ამჟამინდელი ლიდერის, „ვალენსიას“ პრეზიდენტი ხაიმე ორტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მისი კლუბი სახელგანთქმული და გალაქტიკური სამეფო გუნდის, „რეალის“ ყველაზე დიდი კონკურენტი შეიქნა ბოლო წლებში

„ვალენსია“ პრიმერას ნებისმიერი გუნდისთვის საშიში ძალაა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა გუნდმა „ბარსელონას“ იძულებითი ჩავარდნა გამოიყენა და ახლა „ვალენსია“ „რეალის“ აღიარებული მეტოქეა. პირველი წრის შეხვედრაშიც ხომ დავამარცხეთ მადრიდის „რეალი“, დღესაც ამას ვაპირებთ და საერთოდ, დიდი პოპულარობა მსოფლიოში საუკეთესობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ჩემი აზრით, „ვალენსია“ რონალდოსა და კომპანიას არაფერში ჩამორჩება“ — ამაყად აცხადებს საკუთარი შემადგენლობის საამსეზონო სიჩაუქით აღტაცებული ორტი.

პრეზიდენტის სიტყვებში მართლაც ბევრი სიმართლეა. თუკი ვინმე ოდნავ მაინც დაინტერესებულა პირინეული ჩემპიონატის თავისებურებებით, შენიშნავს, რომ შორეული 20-ანებიდან მოყოლებული, პრესტიჟული პრიმერას თაოსნობას უმეტესად კატალონიურ-კასტილიური ჯახის სიმძაფრე განსაზღვრავდა. ახლა კი, „ბარსას“ ბოლოდროინდელი „შესვენების“ გამოისობით, ხსენებული დაპირისპირება ვალენსიურ-მადრიდულად მოინათლა. „განსხვავება „რეალსა“ და „ვალენსიას“ შორის ძალიან მცირეა. პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით ოდენ „რეალის“ რეკლამა მიდის, ამან კი შეიძლება კეირუშის შეგირდებს ცუდი სამსახურიც გაუწიოს“ — იწინასწარმეტყველა დედაქალაქელთა ზედმეტი გალაქტიკურობით გაღიზიანებულმა ორტიმ.

სენიორ ხაიმე, მიუხედავად ოპტიმიზმისა, არც სინამდვილეს გაურბის და თვლის, რომ სათასო ორრაუნდიანი შეხლა ჯოჯოხეთი იქნება: „დიდ ბრძოლას ვიხილავთ, სადაც ორივე გუნდი თავის საუკეთესო თვისებებს გამოამჟღავნებს. ამ დუელში გამარჯვებული უკვე კოპა დელ რეის მფლობელად შეგვიძლია მოვნათლოთ“.

ლადო ხომერიკი



ვიქტორ მუნიოსი

ესპანური პრიმერას აუტსაიდერმა გუნდებმა სეგუნდადივიზიონის საფრთხე აშკარად იგრძნეს და მათმა თავკაცობამაც სასწრაფოდ დაიწყო ზრუნვა პრესტიჟულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. არაგონელი მანუელ სოლანსის საპრეზიდენტო „სარაგოსაც“ ხსენებულ უიღბლოთა შორისაა — ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისში ამ კლუბის მონაგარი არცთუ ისე მიმზიდველად გამოიყურება — 10 წაგება, 5 ფრე, 5 გამარჯვება და უფსკრულთან მეტისმეტად სიახლოვე — მე-18 ადგილი. მუდმივი მარცხით თავმობეზრებულმა „სარაგოსას“ ხელმძღვანელმა პაკო ფლორესი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა.

ფრანსისკო ფლორეს ლახუსტისია 2002 წელს კატალონიური „ესპანიოლიდან“ მივიდა „სარაგოსაში“ და სეგუნდელი არაგონელები უმალ პრიმერადივიზიონში გადააბრძანა. გუნდში სავიოს, მილიტოსა და ვილიას დარი ფეხბურთელების ჩარიცხვაც მისი დამსახურებაა, მაგრამ იქაური ინჩადის გულის გასახეთქად, მაინც ვერაფრით შეძლო, 2003-04-ის სეზონში „ლა რომარედას“ წინაშე რიგიანი შემადგენლობა წარედგინა.

სარაგოსა სარაგოსელ მუნიოსს გამოცდას კამპ ნოუზე ჩააბარებს

გადამწყვეტი და საბედისწერო მატჩი სენიორ პაკოსთვის მეოცე ტურში „დეპორტივოსთან“ „რიასორზე“ კოშმარული შეხვედრა გამოდგა. მისმა შეგირდებმა ირურეტას ბიჭებთან 1:4 წააგეს და პრეზიდენტ სოლანსსაც მოთმინების ფიალა აევსო: „ყოველთვის ფლორესის მომხრე ვიყავი, მაგრამ „დეპორთან“ თამაშის მერე ვთვლი, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. კლუბი ახალ დამრიგებელს საჭიროებს“.

პრეზიდენტის ახალი ფავორიტი კი თავადაც წარმოშობით სარაგოსელი ვიქტორ მუნიოსია, რომელმაც პირველი გამოცდა დღეს, „კამპ ნოუზე“ თასის მეოთხედფინალში გამარჯვების მოსურნე „ბარსელონასთან“ უნდა ჩააბაროს. „სულით და გულით მინდა, გუნდს ჩემი ცოდნით თუ გამოცდილებით დავეხმარო“ — ამბობს მძიმეტვირთაკიდებული ვიქტორ მუნიოსი.

პაკო ფლორესის არაგონული მსხვერპლთშეწირვა კი მიმდინარე პრიმერაში რიგით მეოთხეა. იქამდე მწვრთნელობას „მალიორკას“ ჟაიმე პაშეკუ, „ესპანიოლის“ ხავიერ კლემენტე და მურსიელი ხოაკიმ პეირო გამოეთხოვნენ.

ლადო ხომერიკი

პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „მურსიამ“ მწვრთნელი ხოაკინ პეირო გაათავისუფლა და მის ადგილას უელსელი ჯონ ტოშაკი დანიშნა

მოგზაური ტოშაკი მურსიას მიადგა

„მალაგას“ ოდინდელი ბოსი პეირო 67 წლისაა და პრიმერადივიზიონის უხუცესი მწვრთნელი იყო.

ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე „მურსიას“ პრეზიდენტმა ხესუს სამპერმა პეიროს გაშვების თაობაზე თქვა: „ეს ძალიან სამწუხარო მოვალეობაა, მაგრამ მე იძულებული ვარ გავაკეთო. პეირო პროფესიონალი მწვრთნელი და ბრწყინვალე პიროვნებაა, თუმცა ფეხბურთში ასეთი რამეები ხშირად ხდება და უსიამოვნო გადაწყვეტილების მიღებას ვერც ჩვენ გავექეცით. რამდენიმე დღის ფიქრის მერე კი გადავწყვიტეთ, ახალ მწვრთნელად ჯონ ტოშაკი მოგვეწვია, რომელსაც ოთხშაბათს ოფიციალურად წარვადგენთ.“

ოთხშაბათი, მოგეხსენებათ, დღესაა.

ტოშაკს მოგზაურ მწვრთნელად იცნობენ. სამწვრთნელო კარიერა მან „სუონსი სიტიში“ დაიწყო. ერთ ხანს უელსის ნაკრებსაც წვრთნიდა, მერე კი „რეალ სოსიედადში“, „დეპორტივოში“, „ბეშიქთაშში“, „სენტ ეტიენში“, „სპორტინგსა“ და „რეალში“ მუშაობდა.

54 წლის ტოშაკის ბოლო სამუშაო ადგილი იტალიის სერია B-თ „კატანია“ გახლდათ, სიდანაც ზუსტად ერთი წლის წინ გაუშვეს კლუბის პრეზიდენტის კრიტიკის გამო.

კოტე კეკელია

დინოს დაბრუნება

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო — ვეტერანი ნახევარმცველი დინო ბაჯო ინგლისური „ბლექბერნ როვერსიდან“ იტალიაში, კერძოდ, აუტსაიდერ „ანკონაში“ დაბრუნდა.

დინო ბაჯო 32 წლისაა და ჯერ კიდევ „ლაციოს“ საკუთრებაა. „ანკონამ“ იგი სეზონის ბოლომდე „ისესხა“, რაშიც დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რადგან ინგლისურ ბურთაობას ალღო მაინცდამაინც ვერ აუღო.

აღსანიშნავია, რომ „ანკონამ“ შობის შემდეგ იმავე „ბლექბერნ როვერსიდან“ ჩიკო გრაბიც შეიძინა, ამდენი ხალხის დამატება კი იმიტომ სჭირდება, რომ ძველი შემადგენლობით სექტემბრის დასაწყისიდან მოყოლებული ხუთ ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა.

დინო ბაჯო „სტადიო დელ კონეროზე“ რვა ნომრით ითამაშებს, ხოლო ამ ამბის პარალელურად „კიევომ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მცველი, ვინიციო სერვო დე ლუკა სეზარი შეიძინა. ეს 24 წლის ფეხბურთელი ბრაზილიაში, „ფლუმინენსეში“ გამოდიოდა და იტალიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა.

პაპუნა კედია

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ევროპა. III ჯგუფის ასლენდარი

პორტუგალია, რუსეთი, სლოვაკეთი, ლატვია, ესტონეთი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი

2004

18 აგვისტო
ლიხტენშტაინი — ესტონეთი
სლოვაკეთი — ლუქსემბურგი

4 სექტემბერი
რუსეთი — სლოვაკეთი
ლატვია — პორტუგალია
ესტონეთი — ლუქსემბურგი

8 სექტემბერი
პორტუგალია — ესტონეთი
ლუქსემბურგი — ლატვია
სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი

9 ოქტომბერი
ლიხტენშტაინი — პორტუგალია
სლოვაკეთი — ლატვია
ლუქსემბურგი — რუსეთი

13 ოქტომბერი
პორტუგალია — რუსეთი
ლუქსემბურგი — ლიხტენშტაინი
ლატვია — ესტონეთი

17 ნოემბერი
ლუქსემბურგი — პორტუგალია
ლიხტენშტაინი — ლატვია
რუსეთი — ესტონეთი

2005

26 მარტი
ლიხტენშტაინი — რუსეთი
ესტონეთი — სლოვაკეთი

30 მარტი
სლოვაკეთი — პორტუგალია
ესტონეთი — რუსეთი
ლატვია — ლუქსემბურგი

4 ივნისი
რუსეთი — ლატვია
პორტუგალია — სლოვაკეთი
ესტონეთი — ლიხტენშტაინი

8 ივნისი
ესტონეთი — პორტუგალია
ლატვია — ლიხტენშტაინი
ლუქსემბურგი — სლოვაკეთი

17 აგვისტო
ლატვია — რუსეთი
ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი

3 სექტემბერი
რუსეთი — ლიხტენშტაინი
პორტუგალია — ლუქსემბურგი
ესტონეთი — ლატვია

7 სექტემბერი
რუსეთი — პორტუგალია
ლატვია — სლოვაკეთი
ლიხტენშტაინი — ლუქსემბურგი

8 ოქტომბერი
პორტუგალია — ლიხტენშტაინი
სლოვაკეთი — ესტონეთი
რუსეთი — ლუქსემბურგი

12 ოქტომბერი
სლოვაკეთი — რუსეთი
პორტუგალია — ლატვია
ლუქსემბურგი — ესტონეთი

მოულოდნელი პაველ ნედვედი ჩვეული გულმოდგინებით მხოლოდ ოფიციალურ მატჩებში და ვარჯიშისას კი არა... შვებულების დროსაც დარბის, ვარჯიშობს, არც ტრენაჟორებს იკლებს. „ოქროს ბურთი“ თუ გინდა, ასეა საჭირო. მამამისს კი თურმე შვილისგან ბუღალტრის „გამოძერწვა“ ეწადა, რომ მერე ალბათ ბოჰემიური ბროლის რომელიღაც საწარმოში შემოსავალ-გასავალი ეთვალა. უხაროდეს მამას, რადგან პაველმა საანგარიშოს ჩხაკუნს ბურთი ამჯობინა და მილიონობით ჯამაგირსაც იჯიბავს



პაველმა დღევანდელ ბროლს ხვალინდელი ოქრო ამჯობინა

ბლეფი

ევრო 96-ის შემდეგ რომის „ლაციომ“ ნედვედის სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი გაამზადა. პრაღის „სპარტას“ ბოსებმა თავში ხელები წაიშინეს, რადგან ამ ფულის მესამედი პლზენის „შკოდასთვის“ უნდა დაეთმოთ, რომელმაც ნედვედის გაზრდაში ბლომად ოფლი დაღვარა. სპარტელებმა ორიგინალური გამოსავალი ნახეს — „შკოდადან“ მცირე თანხის სანაცვლოდ ნედვედი „კოშიცეში“ გადაიყვანეს. ეს კლუბი, ისევე როგორც „სპარტა“, აღმოსავლეთსლოვაკურ მეტალურგიულ კომბინატს ეკუთვნის, ანუ ერთი პატრონი ჰყავთ. ასე რომ, რომში ფეხბურთელი სლოვაკიიდან წავიდა, „შკოდას“ კი გროშები ერგო.

გულშემატკივრები

რომში ჩასულ ნედვედს „ლაციოს“ ტიფოზები მოსვენებას არ აძლევდნენ. „მაღიზიანებს, როცა ქომაგები ავტომობილში ჩაჯდომისას მაწუხებენ. მახსოვს, ერთხელ გასახდელისკენ მიმავალს ფორმა შემომახიეს“.

ასაკი

პაველ ნედვედი 31 წლისაა, მაგრამ ფეხბურთელს თავი 25-ის ჰგონია. „ვიმედოვნებ, რომ „იუვენტუსში“ კიდევ სამ წელიწადს ვითამაშებ, თუმცა როგორც კი ჯანი მიღალატებს და თავს დაღლილობას შევატყობ, თან თამაშიც სიამოვნებას აღარ მომანიჭებს, მაშინვე ბუცებს ჩამოვკიდებ“.

გოლები

„ოქროს ბურთის“ მფლობელს არა მარტო გააქვს, ლამაზი გოლების ოსტატიცაა. მას თავისუფლად შეუძლია 30 მეტრიდან ბურთი კარის ცხრიანში შეჭედოს და ეს არაერთხელ გაუკეთებია.

სახლი

ჩეხი ტურინის პრესტიჟულ უბანში მეუღლესთან და ორ შვილთან (გოგო-ბიჭი) ერთად ცხოვრობს. შვილებს დედ-მამის სახელები ჰქვიათ.

ევრო-96

ინგლისში ნედვედი და მისი თანაგუნდელები ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს იყვნენ. გერმანიას 1:0-ს უგებდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ოლივერ ბირჰოფმა ფინალის ბედი შემოაბრუნა, ჯერ გაათანაბრა, მერე კი გამარჯვებისა გაიტანა. „ის იყო კოშმარი ჩემთვის, რომელიც არასოდეს დამავიწყდება“ — თქვა ჩეხმა.

ოქროს ბურთი

ნედვედმა ბრძანა, რომ ოფლი „ოქროს ბურთისთვის“ არ დაულვრია. „რა თქმა უნდა, „ფრანს ფუტბოლის“ ნომინაციაში მოხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ არარეალურად მეჩვენებოდა, მით უმეტეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამოტოვების შემდეგ. სხვებზე მაღლა საკუთარი თავი არ დამიყენებია, ამიტომ „ოქროს ბურთი“ „იუვენტუსის“ საკუთრებაა და არა ჩემი.“

იოზეფ მასოპუსტი

ერთადერთი ჩეხი, რომელსაც აქამდე „ოქროს ბურთი“ მოუგია, მასოპუსტი გახლდათ (1962). ჩეხეთის ნაკრებმა მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიასთან (1:3) წააგო.

სამზარეულო

პაველს, ცხადია, იტალიური კერძები უყვარს, განსაკუთრებით პომიდორი მაცარელით, რომელსაც საკუთარ ღვინოს აყოლებს.

ჩემპიონთა ლიგა

ამ ტურნირში გამარჯვება ჩეხის ოცნებაა. იგი ალბათ ვერასოდეს აპატიებს საკუთარ თავს იმ ყვითელ ბარათს, ნახევარფინალში მადრიდის „რეალთან“ მატჩში რომ მიიღო და ფინალი გამოატოვებინა.

მარჩელო ლიპი

„იუვენტუსის“ მწვრთნელი შესანიშნავი ადამიანია — თქვა ნედვედმა — ის თავშეკავებული და კორექტულია. საქებარ სიტყვებს მისგან ვერ გაიგებ, მაგრამ თუ ლიპი დუმს, ეს ნიშნავს, რომ კმაყოფილია“.

ნარკოტიკი

პაველ ნედვედისთვის ნარკოტიკი ფეხბურთია. შვებულების დროსაც კი არ ისვენებს, ყოველდღე ვარჯიშობს საკუთარი პროგრამით. განთიადისას დგება, დარბის, შუადღისას კი ტრენაჟორებს ეტანება. „ჩემი ორგანიზმი დატვირთვას ითხოვს“ — თქვა ჩეხმა.

მამა

ვაცლავ ნედვედიც ძველი ფეხბურთელია, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მეორე ლიგას ვერ ასცდა. ოჯახის უფროსი შვილს ბუღალტრად ამზადებდა და როცა პაველს პრაღის „დუკლადან“ დაუკავშირდნენ, მამას მისი გაშვება არ სურდა.

მეტსახელი

„ჩეხური რაკეტა“ — ასე მონათლეს ნედვედი „იუვენტუსის“ გულშემატკივრებმა. ზოგჯერ „დიურასელს“ უწოდებენ, როგორც გამოულეველი ენერგიის წყაროს, ხან კი „კონანს,“ მის დანახვაზე მეტოქეები ძრწიანო.

რეკორდი

ჩეხეთის ისტორიაში პაველ ნედვედი უძვირფასესი ფეხბურთელია. „იუვენტუსმა“ „ლაციოს“ მის სანაცვლოდ 35 მილიონი დოლარი ჩაუთვალა, ამჟამად ნედვედის ფასი 50 მილიონ დოლარზე ნაკლები არ არის.

ნაკრები

ეროვნულ გუნდში პაველის დებიუტი 1994 წელს ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში შედგა და მან ოდენ შვიდი წუთი ითამაშა. ამჟამად 74 სანაკრებო თამაში მოუგროვდა და 17 გოლი გაიტანა.

ჯილდოები

სამჯერ ჩეხეთის (1993-95) და ამდენჯერვე იტალიის (1999, 2002, 2003) ჩემპიონი. იტალიის თასის ორგზის და ევროპის სუპერკასის სამგზის მფლობელია, უეფას და ევროპის სუპერთასის (1999) მომგები. ევრო 96-ის ვიცე-ჩემპიონი.

დარტყმა

პაველ ნედვედის დარტყმული ბურთი 194 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავს და ამ მხრივ შეუძლია, რობერტო კარლოსს გაეჯიბროს.

ფანტომასი

ფეხბურთელის პირველი შეხვედრა პიერლუიჯი კოლინასთან უილბლო აღმოჩნდა. ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე ჩეხეთისა და ჰოლანდიის ნაკრებების მატჩის ბოლო წუთზე კოლინამ ნედვედისგან ფრანკ დე ბურის წაქცევა პენალტად აქცია. ჰოლანდიელებმა თერთმეტმეტრიანი გამოიყენეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს. შედეგად ჩეხები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ.

ხები

ქალაქი, სადაც 1972 წლის 30 აგვისტოს პაველ ნედვედი დაიბადა, გერმანიის საზღვართან ახლოს და კარლოვი კარიდან 50 კილომეტრში მდებარეობს. 100 ათასიანი ჰები ცნობილია იმით, რომ იქ ბოჰემიური ბროლისგან სუვენირებს ამზადებენ.

მეექვსე

ნედვედამდე „ოქროს ბურთი“ „იუვენტუსის“ ხუთ ფეხბურთელს აუღია: ომარ სივორი (1961), პაოლო როსი (1982), მიშელ პლატინი (1983, 1984, 1985), რობერტო ბაჯო (1993) და ზინედინ ზიდანი (1998).

იუვენტუსი

ჩეხი ფეხბურთელის აზრით, მეტოქეებისთვის ის და მისი თანაგუნდელები „ცუდი ბიჭები“ არიან. „ჩვენ არ ვართ „მილანივით“ და „რეალივით“ ელეგანტურები. „იუვეს“ ძლიერი რგოლები დაცვა და ნახევარდაცვაა, რომლის გავლაც ძალიან რთულია. კლუბის სელექციონერები ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნიშნით არჩევენ. მატჩის მსვლელობისას კალაპოტიდან „იუვენტუსის“ ამოგდება ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სიშმაგე

ნედვედი მაშინ შმაგდება, როცა მოედანზე ბურთაობა კარგად არ გამოსდის. „ხასიათი მაქვს უუმური“ — თქვა ფეხბურთელმა, რომელსაც ახლობლები ტაქტიან და სიტყვაძუნწ ადამიანად იცნობენ.

ვაჟა ხუციშვილი

არაბმა ამერიკელი დაასაქმა
საჰას შემცვლელი მაკბრაიდია

ლუი საჰამ თავისი გაიტანა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა მიიღო. „ფულემის“ ახალგაზრდა მწვრთნელ კრის კოულმენს ძალიან არ ეწადა მისი გაშვება, მაგრამ ფეხბურთელს სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა რომ გაუვიდოდა, მანჩესტერელები მას მუქთად წაიყვანდნენ, ახლა კი ლონდონურმა კლუბმა 10,5 მილიონი გირვანქა მიითვალა.

გუნდის საუკეთესო მეგოლის წასვლამ კოულმენი გაანაწყენა და თქვა: „ვფიქრობ, რომ ეს შემთხვევა კლუბის ბოსებს გამოცდილებას შესძენს და ისინი სამომავლოდ სატრანსფერო საქმეების უკეთ მართვას ისწავლიან. საჰა, შესაძლოა, არც წასულიყო, მის აგენტს ფეხბურთელისთვის ტვინი რომ არ აემღვრია. ლუის წასვლა ძალიან ულიმღამოდ, ნაჩქარევად მოხდა, მაგრამ ჩვენ ველარაფერი ვიღონეთ, რადგან იგი კლუბის ბოსებს აუხირდა და პირობები წაუყენა, აგენტმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხა. სხვა გზა არ გვქონდა და პოზიცია დავთმეთ“.

საჰა წავიდა და მისი შემცვლელიც უმალ მოძებნეს — „ფულემმა“ „ევერტონიდან“ ამერიკის ნაკრების თავდამსხმელი, 31 წლის ბრაიან მაკბრაიდი გადაიბირა, რომელიც შარშან „ევერტონის“ შემადგენლობაში თამაშობდა და რვა მატჩში ოთხი გოლიც მიითვალა. კრის კოულმენის თქმით, ზამთრის სატრანსფერო სეზონში გუნდი ჯერჯერობით მეტი ფეხბურთელის დამატებს არ აპირებს.

ვაჟა ხუციშვილი



ბრაიან მაკბრაიდი

ლიდსს თურქები შეესივნენ

დაუმმა ფენერბაჰჩეს ვიდუკა შეუცვალა

არიქა, კოტრდება, უჭირსო და თვით სტამბოლის „ფენერბაჰჩემაც“ კი „ლიდსს“ მიაკითხა, ეგებ ჩვენც ვიხეიროთო.

„ფენერის“ გერმანელ თავკაც კრისტოფ დაუმს პრეზიდენტ აზიზ ილდირიმისთვის უთქვამს, ჩემპიონობა თუ გვსურს, რიგიანი თავდამსხმელი გვჭირდებაო. ასეთად დაუმს „ლიდსის“ ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა მიუჩნევია და მისი შეძენა უთხოვია.

წინა უქმეებზე „რიზეს“ ძლევის შემდეგ ცხრილში მეორე საფეხურზე ამძვრალ „ფენერბაჰჩეს“ მადა გაეხსნა, მაგრამ „ბეშიქთაშის“ დაწევა და ჯობნა იოლი საქმე არაა.

აზიზ ილდირიმმა განაცხადა, რომ 27 წლის ვიდუკას სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს ხელის აუკანკალებლად გაიღებს. „ვიდუკა ის კაცია, რომელსაც ვეძებთ. მას ნამდვილად შეუძლია დაგვეხმაროს ისეთ კონკურენტთან ბრძოლაში, როგორიც „ბეშიქთაშია“. ჩვენ ლიდსელებს სერიოზულად ვესაუბრეთ, ფულიც მზად გვაქვს და პასუხს ველით“.

ინგლისურ კლუბს რომ სალარო დაუცარიელდა, ძველი ამბავია მაგრამ ძალინაც რომ სურდეს, მარკ ვიდუკას ახლავე გაყიდვას ვერ შეძლებს. ფეხბურთელის მამა ავადაა და მარკიც კვირაზე მეტია, ავსტრალიაში იმყოფება.

ვაჟა ხუციშვილი

აბრამოვიჩმა რენი გააოდოდრა

ჩელსის გზას ჩეხი დაადგა



პეტრ ჩეხის „ჩელსიში“ მისვლა კარლო კუდიჩინის ალბათ არ ეპიტნავა

ჩეხი მეკარე პეტრ ჩეხი ფრანგულ „რენში“ მესამე სეზონს ატარებს. გადასვლის დღიდან იგი გუნდის ჯილად იქცა და მისი ნიჭისა და გარჯის შედეგია, „რენი“ უმაღლეს დივიზიონში ადგილს რომ ინარჩუნებს.

პეტრ ჩეხის კარგი თამაში ევროპული ბობოლების სამიზნეში მალევე მოხვდა. შარშანწინ მას გერმანული კლუბები ეპატიჟებოდნენ, შარშან ზაფხულში თითქოს „ბარსელონას“ სურდა მისი წაყვანა, მაგრამ კლუბებმა რატომღაც იზარმაცეს და, როგორც ჩანს, იგი რომან აბრამოვიჩის „ჩელსის“ შეუერთდება.

მეკარის აგენტმა პაველ ჟიკამ განაცხადა, რომ ლონდონური გუნდის წარმომადგენლები ჩეხს დაუკავშირდნენ, ისაუბრეს და ფასზეც შეთანხმდნენ. აბრამოვიჩს ნიჭიერი ჩეხის სანაცვლოდ 9 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს, რაც „რენის“ დონის გუნდისთვის ნამდვილად დიდი შვებაა.

აგენტისავე თქმით, პეტრ ჩეხი საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ლონდონს ეწვევა და „არისტოკრატებთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ვაჟა ხუციშვილი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

ფეხბურთის რუკასთან

ესპანური „სოსიედადის“ რუსი ნახევარმცველი ვალერი კარპინი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს. ბასკური კლუბის უფროსობა კი ცდილობს, მას ეს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, მაგრამ... „დრო მოვიდა, ფეხბურთიდან თავაწეული უნდა წახვიდე“ — ამბობს კარპინი. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მატჩში „სოსიედადმა“ 3:1 მოუგო ჩემპიონატის აუტსაიდერ „ესპანიოლს“. სამი გოლიდან ორი კარპინის დამსახურებით გავიდა, ერთი საგოლე პასი გააკეთა, მეორედ კი პენალტი თავად იხეირა.

იტალიური „რომას“ იონ კარეუს საბოლოოდ შესყიდვა სურს, თუმც დედაქალაქელებს ჯერჯერობით ფინანსური პრობლემები აქვთ. იცით, კარეუ გასულ ზაფხულს „ვალენსიამ“ ერთი წლით ათხოვა „რომას“. მწვრთნელი ფაბიო კაპელო, კმაყოფილია ახალბედა ნორვეგიელის თამაშით. „გლადიატორებს“ პრობლემა აქვთ: ჯერჯერობით კონტრაქტის გამოსყიდვისთვის საჭირო 6 მილიონი ევროს ვერ გამოიძებნა. ვარაუდობენ, რომ „რომა“ ფინანსურ პრობლემებს უახლოეს მომავალში მოაგვარებს და ვალენსიელებთან მოლაპარაკებას მარტში განაახლებს.

ინგლისური „ლიდსი“ სერიოზული პრობლემებისა წინაშე რომ დგას, ყველასათვის ცნობილია. იორკშირული კლუბი ამჟამად პრემიერლიგის ბოლოში ყურყუტებს და გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. კლუბი მწვავე ფინანსურ კრიზისშია და გადასარჩენად ფეხბურთელების გაყიდვა უწევს. როგორც ამბობენ, ამჯერად ალან სმიტის ჯერია, რომლითაც „ნიუკასლი“ ყოფილა დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ იორკშირელები უკვე შეელივნენ ოლივიე დაკურს, ჰარი კიუელს, ჯონათან ვუდგეიტსა და ლი ბოიერს.

რუსული „სპარტაკი“, კერძოდ კი მისი ახალი იტალიელი თავკაცი ნევიო სკალა, ვლადიმირ ბუტით დაინტერესდა. მოსკოვური კლუბის უფროსობაც ყაბულსაა, ბოლო წლებში გერმანიაში მოთამაშე ნახევარმცველი შეიძინოს, მაგრამ ბუტი სამშობლოში დაბრუნებას ჯერჯერობით არ ჩქარობს. იგი ამჟამად „ჰანოვერშია“ გასინჯვაზე. ამისთანავე, რუსით „აინტრახტი“ და „მიუნხენი“ ამრიან დაინტერესებულნი. ბუტის აგენტი როს სტინი კი ამბობს: „რა თქმა უნდა, „სპარტაკის“ წინადადებას სერიოზულად ვიხილავთ და, თუ არ არის გამორიცხული, ვლადიმირმა კარიერა რუსეთში გააგრძელოს.“ აგენტმა ისიც დასძინა, რომ ბუტის მიზანი ამჟამად ეროვნულ გუნდში დაბრუნებაა, საამისოდ კი სათამაშო პრაქტიკაა აუცილებელი.

ურუგვაელი ფორვარდი ხავიერ ერნესტო ჩევანტონი შესაძლოა, ზაფხულიდან „რომაში“ გადაბარგდეს. ეს ინფორმაცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ვრცელდება. სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერის, „ლეჩეს“ ფორვარდით შარშანაც რამდენიმე ვარიანტი იყო დაინტერესებული, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. იმასაც ამბობენ, რომ ურუგვაელი ჩევანტონი „რომადან“ მიმავალ მარკო დელვეკიოს შეცვლის.

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ კაპიტანმა მარსელ დესაიმ განაცხადა, რომ „არისტოკრატებთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ დიდი ფეხბურთიდან წავა. „ჩელსისთან“ ხელშეკრულება დამიმთავრდება და თამაშსაც მივატოვებ, ეს 2005 წელს მოხდება. აქვე მსურს, ჩემს ნაკრებსაც დავეხმარო. აუცილებელი არ არის, მწვრთნელობა დავიწყო, ჩემთვის ნებისმიერი თანამდებობა მისაღებია“ — განაცხადა დესაიმ. საინტერესო კი ისაა, რომ იგი თავის ნაკრებში განის ეროვნულ გუნდს გულისხმობს, მარსელ დესაიხომ წარმოშობით განელია.

შენ ხარ ქალი თავნება

ასეთ მწვრთნელს ნებისმიერი გუნდი ინატრებდა, ოღონდ ერთი კია, მისი შემყურე ნახევრადგამოლაყებული ივარჯიშებდა. ამანში დაბადებული, იორდანიის მეფის აბდულა მეორის და, პრინცესა ჰაია ბინ ჰუსეინი პანარაბული ქვეყნების ქალ ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

ჰაიას განათლება ევროპულ ქვეყნებში მიუღია, შვიდ ენას ფლობს, სპორტის სხვადასხვა სახეობას ეტრფის და ცხენითაც შესანიშნავად დაჭენაობს.

არაბული ქვეყნების საერთო ნაკრების დებიუტი 5 თებერვალს დუბაიში შედგება და ისინი... „ჩელსის“ ქალბატონებს გაეჯიბრებიან.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური						
		21 იანვარი						
23.45	001	ვულვერჰემპტონი-ლივერპული	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
		ინგლისი. I დივიზიონი. XXXVII ტური						
		24 იანვარი						
19.00	028	ბრედფორდი-კრისტალ პალასი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური						
		24 იანვარი						
19.00	030	ბლეკპული-ოლდემი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
19.00	031	ბორნმუთი-ქუინზ პარკი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
19.00	032	ბრენტფორდი-რექსემი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	033	ბრაიტონი-ბარნსლი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	034	ჩესტერფილდი-უიკომბი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
19.00	035	ჰარტლპული-ბრისტოლი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
19.00	036	ნოტსი-სუინდონი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
19.00	037	უიგენსდი-პიტერბრო	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
19.00	038	სტოკპორტი-პლიმუთი	3,5	3,3	1,9	1,69	1,23	1,2
		ინგლისი. III დივიზიონი. XXVIII ტური						
		23 იანვარი						
23.45	042	დონკასტერი-ლინკოლნი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
		24 იანვარი						
19.00	043	როჩდერსი-კარლაილი	1,65	3,4	4,2	1,11	1,18	1,87
19.00	044	ბერნი-კიდერმინსტერი	2,1	3,3	3,1	1,28	1,25	1,59
19.00	045	კემბრიჯი-როჩდეილი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	046	ჩელტენემი-ჰალი	3,4	3,2	2,0	1,64	1,25	1,23
19.00	047	მენსფილდი-საუთენდი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	048	ტორკი-მაკლსფილდი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	049	იოვილი-ლეიტონი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	050	იორკი-ჰადერსფილდი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი. XXVIII ტური						
		24 იანვარი						
19.00	056	ბარნეტი-მარგეიტი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.00	057	ბარტონი-აკრინგტონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
19.00	058	დაგ ენდ რედი-ექსეტერი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	059	ფარნბორო-ალდერშოტი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
19.00	060	გრეივსენდი-სტივენეიჯი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
19.00	061	ჰალიფაქსი-შრიუსბერი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
19.00	062	ლეი-მორიკომბი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
19.00	063	ნორთვიჩი-ჩესტერი	5,3	3,5	1,5	2,1	1,16	1,04
19.00	064	უოკინგი-ფორესტ გრინი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		შოტლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური						
		24 იანვარი						
16.30	068	აბერდინი-სელტიკი	11,0	5,6	1,2	3,71	1,08	1
19.00	069	დანფერმლაინი-მოზერუელი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
19.00	070	ჰარტსი-პარტიკი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
19.00	071	კილმარნოკი-ჰიბერნიანი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	072	რეინჯერსი-ლივინგსტონი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	073	რეინჯერსი-ლივინგსტონი	0:1	1,4	3,6	4,2		
		25 იანვარი						
19.00	074	დანდი-დანდი იუნაიტედი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		შოტლანდია. I დივიზიონი. XXII ტური						
		24 იანვარი						
19.00	076	ბრეჩინი-ინვერნესი	4,6	3,5	1,6	1,98	1,18	1,09
19.00	077	კლაიდი-ფოლკირკი	1,95	3,4	3,3	1,23	1,22	1,67
19.00	078	როსი-ეარი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
19.00	079	სტ.ჯონსტონი-რეითი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
19.00	080	სტ.მირენი-ქუინი	2,6	3,3	2,35	1,45	1,23	1,37

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შოტლანდია								
II დივიზიონი. XX ტური								
24 იანვარი								
19.00	085	ერდრი-არბროთი	1,7	3,5	4,0	1,14	1,19	1,86
19.00	086	ისტ ფაიფი-ალია	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
19.00	087	ფორფარი-დამბარტონი	2,35	3,4	2,45	1,38	1,19	1,42
19.00	088	მორტონი-პაბლტონი	1,75	3,5	3,6	1,16	1,17	1,77
19.00	089	სტენჰაუსმური-პერიკი	3,6	3,5	1,75	1,77	1,17	1,16
შოტლანდია								
III დივიზიონი. XX ტური								
24 იანვარი								
19.00	092	კუოდენბითი-გრეტნა	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
19.00	093	პტერჰედი-ისტ სტირლინგი	1,12	6,0	10,0	1	1	3,75
19.00	094	ჭონს პარკ-მონტროზი	2,45	3,4	2,35	1,42	1,19	1,38
19.00	095	სტირლინგი-ალბიონი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
19.00	096	სტრანრარი-ელგინი	1,3	4,8	6,5	1,02	1,08	2,76
საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური								
21 იანვარი								
21.00	130	მონაკო-ნიცა	1,5	3,3	8,0	1,03	1,26	2,33
23.00	131	მონპელიე-ხოში	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
ჰოლანდია. I დივიზიონი. XIV ტური								
21 იანვარი								
23.00	157	როდა-აიაქსი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
ინგლისი. თასი. IV ეტაპი								
24 იანვარი								
16.30	231	სკარბორო-ჩელსი	14,0	6,0	1,12	4,19	1,03	1
19.00	232	არსენალი-მიდლსბრო	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
19.00	233	ბირმინგემი-უიმბლდონი	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
19.00	234	ბარნლი-ჯილინგემი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
19.00	235	ჭოკენთრი-კოლჩესტერი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
19.00	236	იფსვიჩი-სანდერლენდი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	237	ლუტონი-ტრანმერი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
19.00	238	პორტსმუთი-სკანთორპი	1,2	5,3	11,0	1	1,08	3,57
19.00	239	სუონსი-პრესტონი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
19.00	240	ტელფორდი-მიდუოლი	5,3	3,6	1,55	2,14	1,19	1,08
21.35	241	ლივერპული-ნიუკასლი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
25 იანვარი								
17.00	242	სიტი-ტოტენჰემი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
18.00	243	ნოტინგემი-შეფილდი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
18.00	244	ვულვერჰემპტონი-ვესტ ჰემი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
19.00	245	ევერტონი-ფულემი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
20.05	246	ნორთჰემპტონი-მანჩესტერი	14,0	6,0	1,12	4,19	1,03	1

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. ლიგის თასი								
1/2 ფინალი. I მატჩები								
21 იანვარი								
24.00	248	ბოლტონი-ასტონ ვილა	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
შოტლანდია. თასი. II ეტაპი								
21 იანვარი								
23.45	249	დანდი-აბერდინი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
იტალია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები								
21 იანვარი								
20.30	251	ინტერი-უდინეზე	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
24.00	252	იუვენტუსი-პერუჯა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
22 იანვარი								
23.45	253	რომა-მილანი	2,15	3,0	3,3	1,25	1,3	1,57
ესპანეთი. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები								
21 იანვარი								
23.00	254	სევილია-ატლეტიკო	2,25	3,1	3,0	1,3	1,28	1,52
00.30	255	რეალი-ვალენსია	1,75	3,2	4,4	1,13	1,25	1,85
22 იანვარი								
23.00	256	ალავესი-სელტა	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

21 იანვარი

23.45 5201 ვულვერჰემპტონი-ლივერპული --- 1,8 ---------- 1,8

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21 იანვარი								
23.45	5001	ვულვერჰემპტონი-ლივერპული	4,6	2,15	2,25	1,46	1,51	1,09

			1	X	2	1-X	1-2	X-2
00.30	257	ბარსელონა-სარაგოსა	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,32
ბელგია. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები								
21 იანვარი								
23.00	263	მუსკრონი-სერკლი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
23.30	264	ბეერსხოტი-ბეგერენი	2,0	3,8	3,8	1,22	1,24	1,65
23.30	265	ჰეუსდენი-ანდერლეხტი	6,5	3,8	1,45	2,39	1,18	1,04
22 იანვარი								
23.30	266	ლუგიე-ბრიუგე	3,5	3,8	1,9	1,62	1,22	1,2
საბერძნეთი. თასი								
1/8 ფინალი. II მატჩები								
21 იანვარი								
16.30	267	იფი-პანათინაიკოსი	4,8	3,5	1,6	2,02	1,2	1,09
19.00	268	ქსანთი-ოლიმპიაკოსი	6,0	3,6	1,5	2,25	1,2	1,05
23.15	269	არისი-იროკლისი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------- კი ---------- არა

21 იანვარი

23.45 5301 ვულვერჰემპტონი-ლივერპული --- 1,7 ---------- 1,9

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
21 იანვარი					
23.45	5501	ვულვერჰემპტონი-ლივერპული	3,0	2,8	2,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

21 იანვარი

23.45 5401 ვულვერჰემპტონი-ლივერპული --- 2,4 ---------- 1,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
21 იანვარი											
23.45	5101	ვულვერჰ.-ლიივერპული	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,7

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

24.01	21.00	6001	იტალია A (XVIII)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
24.01	22.30	6002	ესპანეთი Id (XXI)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
23.01	01.30	6003	პორტუგალია სდ (XIX)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
23.01	23.00	6004	ჰოლანდია Id (XVII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
24.01	23.00	6005	ბელგია Id (XIX)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (31.01)

მანჩესტერი	1,9
არსენალი	1,9
ჩელსი	5,6

9002
გერმანია (30.01)

ბაიერნი	1,5
ვერდერი	3,2
შტუტგარტი	5,0
ლევერკუზენი	7,0

9003
იტალია (24.01)

რომა	2,4
მილანი	2,5
იუვენტუსი	2,5
ინტერი	20,0

9004
ესპანეთი (24.01)

რეალი	1,5
ვალენსია	2,8
დეპორტივო	6,0

9005
საფრანგეთი (21.01)

მონაკო	1,1
ლიონი	7,0
პსჟ	7,0

9006
პორტუგალია (24.01)

პორტუ	1,08
სპორტინგი	5,0
ბენფიკა	15,0

9007
ჰოლანდია (21.01)

აიაქსი	1,5
პსვ	2,2

9008
ავსტრია (21.02)

აუსტრია	1,35
რაპიდი	4,0
გრაცერი	5,0

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (24.01)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0
პაოკ	6,0

9011
უკრაინა (15.02)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)
რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	1,8
იტალია	2,5
ესპანეთი	2,9
გერმანია	9,3
საფრანგეთი	13,6

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)

რეალი	4,0
მანჩესტერი	4,6
იუვენტუსი	5,0
მილანი	5,0
ჩელსი	6,0
არსენალი	6,0
ბაიერნი	15,0
დეპორტივო	20,0
შტუტგარტი	25,0
მონაკო	25,0
ლიონი	30,0
პორტუ	40,0
სოსიედადი	40,0
სელტა	50,0
ლოკომოტივი	100,0
სპარტა	150,0

9022
უეფას თასი (26.02)

რომა	5,6
ვალენსია	6,0
ბარსელონა	6,0
ინტერი	6,0
ლივერპული	6,0
ნიუკასლი	8,0
პარმა	10,0
სელტიკი	12,0
მარსელი	15,0
ბორდო	25,0
მალიორკა	25,0
პსვ	25,0
ოსერი	25,0
გალათასარაი	30,0
ბრიუგე	30,0
პერუჯა	30,0
ბენფიკა	30,0
ვილიარეალი	30,0
ბეშიქთაში	30,0
სოშო	40,0
პანათინაიკოსი	40,0
რუსენბორგი	50,0
სპარტაკი	60,0
გენჩლერბირლ.	60,0
ბრიონდბიუ	60,0
გაზიანთეფი	100,0
გროცლინი	100,0
ტეპლიცე	100,0
დნიპრო	100,0
ლევსკი	150,0
დებრეცენი	250,0
ვოლერენგა	250,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,5
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტორონტო	7,5
სტ.ლუისი	10,0
დალასი	12,0
ტამპა ბეი	20,0
ბოსტონი	20,0
ლოს ანჯელესი	20,0
სან ხოსე	25,0
რეინჯერსი	25,0
ატლანტა	30,0
კალგარი	30,0
ანაჰაიმი	35,0
მინესოტა	35,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	50,0
ედმონტონი	60,0
ფინიქსი	60,0
კაროლინა	75,0
ჩიკაგო	75,0
ნეშვილი	75,0
ბუფალო	100,0
ფლორიდა	100,0
კოლამბუსი	125,0
პიტსბურგი	125,0
ვაშინგტონი	125,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	1,65
საკრამენტო	4,5
სან ანტონიო	5,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
დეტროიტი	12,0
მინესოტა	12,0
ნიუ ჯერსი	15,0
ნიუ ორლეანი	25,0
ფილადელფია	40,0
ჰიუსტონი	50,0
ბოსტონი	60,0
დენვერი	60,0
ნიუ იორკი	60,0
პორტლენდი	60,0
ტორონტო	60,0
სიეტლი	75,0
იუტა	75,0
მილუოკი	75,0
გოლდენ სტ.	100,0
მემფისი	100,0
ფინიქსი	100,0
კლიპერსი	150,0
ორლანდო	150,0
მაიამი	200,0
ატლანტა	250,0
ვაშინგტონი	250,0
ჩიკაგო	250,0
კლივლენდი	300,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს

საქართველოს თასი. პირველი ეტაპი. რუსთავი 16-21 იანვარი

20 იანვარი. რუსთავი

ბასკი 95:110 სტუ

21:27 29:18 19:26 26:39

ბასკი: კვიმსაძე (9), ბ. ბერიშვილი (13), კეშელავა (12), ტუჯანი (21), იმნაძე (9); ი. ბერიშვილი (20), როდუმტა (6), დ. ბერიშვილი (5), ჩხატარაშვილი

სტუ: ნიკოლაძე (19), ხეცურიანი (22), მიქაძე (7), შანიძე (16), ბაბიაშვილი (10); გაგნიძე (28), მარკოიშვილი (8), ქისტაური

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

თსუ 84:80 სსუ

22:18 30:18 11:20 21:24

თსუ: თორთლაძე (1), მაისურაძე (5), კოკოლიშვილი (4), კილაძე (22), შენგელია (14); ფანჩულიძე (16), ლეფავა (13), საყვარელიძე (5), ვეფხვაძე (5)

სსუ: ფარლალავა (6), პატარაია (8), სორდია (16), ბარბაქაძე (6), ურიდია (16); ზანგურაშვილი (16), კანკია (6), ბალათორია (2), ლუკავა (4), მიქაბერიძე, ფაცაცია

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბადავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

დინამო 85:74 რუსთავი

21:20 12:20 31:18 21:16

დინამო: ულენტი (20), ტულუში (16), კეიდია (5), ბეჟანიშვილი (9), აბულაძე; მუშკუდიანი (9), მინაშვილი (9), ლოსაბერიძე (12), ჩუბინიძე (4), გამყრელიძე (1)

რუსთავი: არწივიძე (10), ჩაჩუა (2), ბოისა (11), ტყეშელაშვილი (13), ჯაფარიძე (19); ჯიმშელეიშვილი (8), ბერუაშვილი (6), გოგობერიშვილი (3), აბრამიძე (2), გაბისონია

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ბათუმი სათუო გახდა

თასის პატრონს ალარც ჰლეი ოფი?!

ირაკლი პერტაია *რუსთავიდან*

რუსთავში დაძაბულობამ პიკს უწია. სათასო ოთხეულში მოსახვედრად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა ორ გუნდს შორის, რომელთაგან ერთ-ერთის — „ბასკოს“ განზე დარჩენამ შესაძლოა, ტურნირის ორგანიზატორებს ერთიანად აურიოს დავთრები.

ბათუმმა 26-28 იანვარს თასის გათამაშების მეორე ეტაპს უნდა უმასპინძლოს, სადაც რუსთავში ნაყოჩაღები ოთხი გუნდისგან ფინალისტები გამოვლინდებიან და წარმოიდგინეთ, რომ ამ ყველაფერმა სამგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელი „ბასკოს“ გარეშე ჩაიაროს. ამას დაამატეთ ქვეყანაში დღეს არსებული პოლიტიკური კრიზისი ცენტრისა და აჭარას შორის, ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, ბათუმელებმა „ოთხეულის“ მასპინძლობზე უარი რომ თქვან.

„ბასკო“ დღეს თსუ-ს ხვდება და გამარჯვება ჰაერივით სჭირდება, თუმც იმ თამაშით, რომელიც ბათუმელებმა გუშინ „სტუ-ჯეოსელთან“ აჩვენეს, მათი სათასო ოდისეა რუსთავშივე დასრულდება. არის ვარიანტი, ბათუმელები წაგების შემთხვევაშიც გავიდნენ შემდეგ ეტაპზე, თუმც ამაზე ბოლოში მოგახსენებთ, ახლა კი უშუალოდ „ბასკო“ — „სტუ-ჯეოსელის“ მატჩში მომხდარ ამბებზე გიამბობთ.

ტექნიკოსებს ტრავმირებული არმენ ოგანესიანი აკლდათ და მოსალოდნელი იყო, რომ ბათუმელები ფარქვეშიდან შეუტევდნენ. ასეც მოხდა, ზღვისპირელებმა თავიდანვე ფარზე გაბატონება განიზრახეს და ასე თუ ისე გამოსდიოდათ რაღაცა, თუმც როცა სტუ-ს უკანასკნელებმა სიჩქარე აკრიფეს, „ბასკოს“ ჭაკად წაუვიდა საქმე.

პირველ მეოთხედში ბათუმელებმა მეტოქის სამწამიანში კი დაიბუდეს, მაგრამ ამით ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. სტუდენტებს „ბასკოს“ მეფარე დავით იმნაძის შესაკავებლად დისკვალიფიკაციამოხდილი ზვიად ბაბიაშვილი ჰყავდათ და შორი სროლებითა და სწრაფი გარღვევებით 6-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს საწყისი ათწუთეულის ბოლოს.

პირველი შესვენების შემდეგ ბათუმელებმა დიდი ავანსი მიიღეს — ზვიად ბაბიაშვილმა ფარზე ბრძოლისას მარჯვენა მხარი ამოიგდო და ტკივილისაგან აკენესებულმა დატოვა მოედანი. ეს ფაქტობრივად „ბასკოს“ გამარჯვებას ნიშნავდა, რაკი ტექნიკოსებს ტანმაღალი მოთამაშე აღარ დარჩათ, მხოლოდ უკანახაზელების იმედზე კი ვერ იქნებოდნენ, როცა წინ მთელი სამი მეოთხედი იყო. თამაშსაც უმალ დაეტყო ბაბიაშვილის არყოფნა, ბათუმელებმა მყარად მოიკიდეს ფეხი თბილისელთა საჯარიმოში.



ბაჩუკ ფოლადაშვილის ფოტო

შიო ხეცურიანმა და მისმა „სტუ-ჯეოსელმა“ „ბასკოს“ გზა გაუმრუდეს

ზღვისპირელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა დავით იმნაძეს წოწოლა პლასიდე როდუმტა შეუწყვილა და მათი მეცადინეობით „ბასკომ“ ჯერ ანგარიში გაათანაბრა და დიდ შესვენებაზეც 5-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

თამაში გიორგი მარკოიშვილის სამქულიანით განახლდა, თბილისელი სროლების ალაევრდს თანაგუნდელებთან გადავიდა. შიო ხეცურიანმა პერიმეტრიდან სროლებით ხომ გული იჯერა, ფარქვეშ შესვლებსაც არ ივიწყებდა და მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით ქულას ქულაზე იხვეჭდა. იქით სათადარიგო გიორგი გაგანიძემ აკრიფა სიჩქარე და ისე მოინდომა, საბოლოოდ მატჩის ბომბარდირიც გახდა.

მოკლედ, სტუ-მ ბასკოელ მაღლებს ჭიდაობა არ დაუწყო და მსოფლიო სპორტის პრაქტიკაში კარგად პროფირებულ მეთოდს მიმართა — თავი შეტევით დაიცვა. ტექნიკოსთა ფეხმარდი უკანახაზელები ისე ყოჩაღობდნენ, რომ „ბასკოს“ მწვრთნელი იძულებული გახდა, ტაქტიკა შეეცვალა. ნუგზარ კანდელაკმა მეფარეებს ტანმაღალი დავით ბერძენიშვილი კი არ მიაშველა, აქოდა, სტუ-ს ფარზე დავაშამათებო, პირიქით, მაღლები საერთოდ გაიყვანა მოედნიდან და ტექნიკოსებს მათივე იარაღით შეებრძოლა. ტექნიკოსებსაც მეტი რა უნდოდათ, ისინი ხომ ისე გრძნობენ თავს სწრაფი თამაშისას, როგორც თევზი წყალში.

ჭეიშვილის გუნდმა ანგარიში მალევე გაათანაბრა და უკანასკნელი მეოთხედიც 2-ქულიანი უპირატესობით განაახლა. ბასკოელი ბერიშვილების ტრიო ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა სტუ-ს დაბლებთან, რომლებშიც გიორგი გაგნიძემ საბოლოოდ აიწყვიტა და შემჩერებელიც ვერავინ გამოუჩნდა. კანდელაკმა ისევ ტანმაღალი იმნაძე გამოიყვანა, მაგრამ ტექნიკოსები ისეთ იშტაზე იყვნენ, ბათუმელთათვის თამაშის გადარჩენის მისხალი შანსიც არ მიუციათ.

ბათუმელთა დამარცხება დიდად ეამათ კონკურენტ თსუელებს და ისე დაარხეინენენ, რომ კინაღამ უსუსტეს სსუ-სთან შერცხვნენ. თსუ-ს მხოლოდ „ბაკოს“ მარცხი აძლევდა ხელს, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი რომ გასჩენოდა და აკი ასეც მოხდა. სოხუმელებმა კი ბოლომდე იბრძოლეს და თამაშის უკანასკნელ წუთზე სამამდეც დაიყვანეს სხვაობა, მაგრამ...

გუშინდელი დღის ბოლო მატჩი კი ტკბილ დესერტად ჰქონდათ რუსთაველებს შემონახული. ერთ დროს ქალაქის სიამაყე, ახლა კი სახელ და სახეცვლილი „ზოტი“ თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა. „რუსთავისთვის“, რომელსაც თასის გათამაშების შემდეგ წამყვანი მოთამაშეები დატოვებენ, ეს ტურნირი ერთგვარ გედის სიმღერად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერაც მათთან მოთამაშე ირაკლი ჯაფარიძე ბევრს ეცადა დინამოელების დაჯაბნას, მაგრამ ქვემოქართლელთა მეორე ლიდერმა თამაზ გოგობერიშვილმა მხარი ვერ აუბა და უკანასკნელ წუთამდე კბილებით მებრძოლი „რუსთავიც“ დამარცხდა.

როგორც თავში მოგახსენეთ, დღეს გასამართ „ბასკო“ — თსუ-ს ჯახში უნდა გაირკვეს ბათუმში წამსვლელი მეოთხე გუნდის ვინაობა. ზღვისპირელები გამარჯვების შემთხვევაში იჯავშნიან საკუთარი ქალაქის ბილეთებს, ხოლო თსუ-ს ზეობის შემთხვევაში ყველაფერი „რუსთავი“ — სტუ-ს მატჩზე იქნება დამოკიდებული. თუ ქვემოქართლელები წააგებენ, სამ გუნდს — „ბასკოს“, თსუ-ს და „რუსთავს“ თანაბარი ქულები უგროვდებათ და მშრალზე ერთმანეთში ბურთების უარესი სხვაობის მქონე კლუბი დარჩება.

სატურნირო ვითარება

დინამო	4	4	0	337:294	8
სტუ	4	3	1	386:366	7
ბასკო	4	2	2	335:326	6
რუსთავი	4	2	2	334:303	6
თსუ	4	1	3	328:342	6
სსუ	4	0	4	293:380	4

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ზაზას ზარიც ჩაგეპარებოდა

ფაჩულია ათიანელასცდა

19 იანვარი

ორლანდო 106:99 მილუოკი

ორლანდო: ლუ (2), ბოგანსი (8), მაკგრეიდი (34), ჰოვარდი (19), დეკლერკი; რ. სტრიკლენდი (12), ფაჩულია (21 წუთი, 11 ქულა, 5 მოხსნა), გირიჩეკი (11), გუდენი (9), ნეილონი, უილიამსი

მილუოკი: ფორდი (5), რედი (18), ტომასი (17), სმიტი (19), სკინერი (13); მეისონი (18), ე. სტრიკლენდი (7), გაძურიჩი (2), კუკოჩი, ჯონსი

დეტროიტი 85:77 სან ანტონიო

დეტროიტი: ბილაფსი (18), ოქური (15)

სან ანტონიო: დანკანი (17)

ლეიკერსი 85:88 ფინიქსი

ლეიკერსი: რაში (18), რასელი (17)

ფინიქსი: ჯონსონი (26)

მინესოტა 97:90 ნიუ ორლეანი

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), კასელი (22)

ნიუ ორლეანი: დევისი (25)

ნიუ იორკი 90:79 ტორონტო

ნიუ იორკი: მარბერი (28)

ტორონტო: როუზი (22), მარშალი (21)

მემფისი 88:83 ჰიუსტონი

მემფისი: გასოლი (24), მილერი (20)

ჰიუსტონი: ფრენსისი (23)

ვაშინგტონი 93:83 ჩიკაგო

ვაშინგტონი: ჰიუზი (25), დიქსონი (17)

ჩიკაგო: კროუფორდი (19), ჰაინრიხი (15)

ატლანტა 97:100 ინდიანა

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (32), ტერი (17)

ინდიანა: ონილი (24), არტესტი (24)

გოლდენ სტეიტი 101:85 იუტა

გოლდენ სტეიტი: ჩინი (20), დამპიე (18 ქულა, 24 მოხსნა), რიჩარდსონი (18)

იუტა: ბელი (25)

კლიპერსი 100:125 საკრამენტო

კლიპერსი: ბრენდი (24), რიჩარდსონი (18)

საკრამენტო: სოიაკოვიჩი (31)

ფილადელფია 81:90 სიეტლი

ფილადელფია: რობინსონი (27)

სიეტლი: ალენი (28), რადმანოვიჩი (15)

„ორლანდო მეჯიქის“ სათადარიგოთა სკამმა მოულოდნელად დასაჩუქრა გუნდის ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი. ყოველ თამაშში მეტოქეს ლამის მარტოკაცად დაჭიდებულმა მაკგრეიდმ „მილუოკის“ 34 ქულა კი ჩაუგდო, მაგრამ როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, გარჯა წყალში ჩაეყრებოდა, სკამიდან ამდგარ ბიჭებს ხელი ასერიგ მხნედ რომ არ გამოეღოთ. ოთხმა სათადარიგომ და მათ შორის ზაზა ფაჩულიამ თამაშში ჯიგარი ჩადო და ჯამში 43 ქულა ამოიღო.

ფაჩულიას 21 წუთში 11 ქულა მოუგროვდა, რაც მისი მოკლე ამერიკული კარიერის საუკეთესო შედეგია. 19 წლის ქართველი ცენტრის ბოლოჟამინდელი სტაბილური ბურთაობა და გაზრდილი შედეგიანობა თავისთავად ოპტიმისტურად განაწყობს ზაზას ქართველ ქომაგს და, რა თქმა უნდა, თავად ზაზასაც.



ალბათ ბევრი კვირა არ დარჩა იმ დღემდე, როცა „მეჯიქის“ თავკაცი ჯონი დევისი ფაჩულიას დამწყებ ხუთეულში დაამკვიდრებს...

იმას ვამბობდით, მაკგრეიდის სათადარიგოები მიეშველნენო. „მაკგრეიდი სეზონში მეთოთხმეტედ ასცდა 30-ქულიან ზღვარს, მისი გუნდი კი სეზონის პირველ ნახევარში (41 თამაში) მხოლოდ 10 გამარჯვებას დასჯერდა. მაგრამ თუ სათადარიგოები — ფაჩულია, გირიჩეკი და სტრიკლენდი — ამგვარ თამაშს გააგრძელებენ, „ორლანდო“ გაცილებით უკეთ გაივლის სეზონის მეორე ნახევარს“ — წერს NBA.COM-ი.

არც ჯონი დევისმა დაუკარგა შრომა ქართველ ახალბედას, თქვა — ზაზა დიდი ვნებით თამაშობს და ზღვა ენერგიას გვმატებსო.

ფაჩულიამ და გირიჩეკმა ჯამში რვა სროლა ჩააგდეს მეორე მეოთხედში, როცა ხუთეულელები პირველ წუთებში პირველი შეტაკების შემდეგ სკამზე სულს ითქვამდნენ და სწორედ აქ გადაწყდა მატჩის ბედი. ევროლეგიონერების წყალობით „ორლანდომ“ მეორე მეოთხედი 12 ქულით მოიგო, 15-ით დაწინაურდა და დიდი შესვენების შემდეგ შეძლო მეტოქესთან დისტანციის შენარჩუნება. მაკგრეიდმ მეორე ნახევარში 20 ქულა მოუტანა „ორლანდოს“. „მილუოკი“ ბევრს წვალობდა, განსაკუთრებით ტომასი და სმიტი, თუმც მათმა გარჯამ მხოლოდ ექვსი ქულით (90:96) დაახლოვა სტუმრები მასპინძლებს.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	21	17	55,3
ბოსტონი	20	23	46,5
ნიუ იორკი	19	24	44,2
ფილადელფია	18	23	43,9
მაიამი	16	25	39,0
ვაშინგტონი	12	28	30,0
ორლანდო	11	31	26,2
ცენტრალური			
ინდიანა	32	11	74,4
დეტროიტი	29	13	69,0
ნიუ. ორლეანი	23	18	56,1
მილუოკი	22	19	53,7
ტორონტო	20	19	51,3
კლივლენდი	13	27	32,5
ჩიკაგო	12	29	29,3
ატლანტა	12	30	28,6

დასავლეთი

შუა-დასავლეთი			
მინესოტა	27	12	69,2
სან ანტონიო	27	15	64,3
დალასი	24	16	60,0
ჰიუსტონი	23	17	57,5
დენვერი	24	18	57,1
მემფისი	22	18	55,0
იუტა	21	19	52,5
წყნარი ოკეანე			
საკრამენტო	29	9	76,3
ლეიკერსი	25	13	65,8
სიეტლი	20	19	51,3
გოლდენ სტეიტი	17	23	42,5
კლიპერსი	16	22	42,1
პორტლენდი	16	23	41,0
ფინიქსი	16	26	38,1

ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

REUTERS მელბურნიდან

როჯერ ფედერერს გუნება გაუფუჭეს

ატორტმანებულმა ვინუს უილიამსმა ბევრი დააფეთა

ჩოგნით გაჩხიბულნი

მელბურნს დიდი შავი ჩრდილი დაეცა

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ალექს ბოგომოლოვი უმცროსი (აშშ) 6:3, 6:4, 6:0; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:0, 6:1, 6:1; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — გილერმო კორია (5, არგენტინა) 7:6 (9:7), 6:2, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 6:2, 6:1, 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (10, ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (ავსტრალია) 7:6 (8:6), 6:2, 7:6 (7:4); **ტიმ ჰენმანი** (11, ბრიტანეთი) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3, 6:3, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — სისილ მამიტი (აშშ) 6:2, 6:4, 0:1 მამიტმა შეწყვიტა; **ალეძს კორეჩა** (ესპანეთი) — მარტინ ფერკერკი (17, ჰოლანდია) 6:4, 1:6, 6:3, 6:4; **აგუსტინ კალიერი** (22, არგენტინა) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:1, 3:6, 6:3, 7:5; **ტიერი ასიონი** (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (23, ესპანეთი) 7:5, 6:1, 7:6 (7:3); **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — მაქს მირნი (24, ბელარუსი) 6:7 (2:7), 6:3, 6:2, 7:6 (7:2); **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — იონას ბიორკმანი (25, შვედეთი) 6:2, 6:3, 6:1; **ალბერტ კოსტა** (26, ესპანეთი) — გრეგ რუზეიკი (ბრიტანეთი) 6:4, 6:3, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (28, ესპანეთი) 3:6, 4:6, 7:6 (7:3), 6:4, 6:2; **უეინ ფერეირა** (31, სამხრეთ აფრიკა) — ვიკტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:4, 3:6, 7:6 (7:3), 6:1; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:1, 6:2, 6:2; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 7:5, 6:4, 6:3; **რადეკ სტეპანეკი** (სლოვაკეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:7 (1:7), 3:6, 6:2, 6:3, 6:3; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2, 6:3, 6:4

ქალები

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:3, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2, 6:1; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:2, 7:5; **აი სუგიამა** (8, იაპონია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 6:2; **ჩანდა რუბინი** (9, აშშ) — ასა სვენსონი (შვედეთი) 6:3, 4:6, 6:3; **პაოლა სუარესი** (12, არგენტინა) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:2, 6:2; **კრისტინა ბრანდლი** (პუერტო რიკო) — კონჩიტა მარტინესი (13, ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:1; **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (14, ისრაელი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ფრანჩისკა სკიავონე** (18, იტალია) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 7:5, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (20, იტალია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; **პატი შნიდერი** (22, შვეიცარია) — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:3, 5:7, 6:3; **ლინა კრასნორუცკაია** (23, რუსეთი) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 6:3, 6:4; **ლიზა რეიმონდი** (25, აშშ) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 5:7, 6:3, 6:4; **ამანდა კუცერი** (27, სამხრეთ აფრიკა) — ტარა სნაიდერი (აშშ) 6:3, 6:1; **მარია შარაპოვა** (28, რუსეთი) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ნატალი დეში** (29, საფრანგეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 7:5, 6:4; **ემი ფრეზერი** (აშშ) — სტეფანი კოჰენ-ალორო (საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4, 6:3; **დინიზა ჰლადკოვა** (ჩეხეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **დინარა საფინა** (რუსეთი) — ლუბომირა კურჰაიჩოვა (სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:1); **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:1

საცქერი და სანახავი გუშინ ბევრი ვინმე და ბევრიც რამე იყო, მაგრამ სანამ ორი კვირის წინ ნანდროლონის მომშარდავ გრეგ რუზეიკის გავარდნაზე ანაც იოლი გამარკვევების მიმთვლელ სახელიან ვაქკაცებზე ვიტყოდეთ რამეს, ხამს, კორტზე შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ მობრუნებულ ვინუს უილიამსს შევეხმიანოთ.

ეგ მით უფრო, რომ უფროსმა შავდამ ტურნირი რიგიანად დაიწყო და, თუმც ნიჭიერ თვისტომ ეშლი ჰარკლროუდთან ბურთაობისას თავის პირველ მოწოდებათა 50 პროცენტი გააფუჭა და ზედ კიდევ 23 უნებლიე შეცდომაც დაუშვა, მაგრამ ჯამში მაინც საღოლშობეჭდილება დატოვა.

18 წლის ეშლი, ვისაც მისი ქეროსან-ბარძაყოსნობის გამო ჩოგბურთზე მწერლები ანა კურნიკოვას სექსმეკვიდრედაც მიიჩნევდნენ, ეგებ ის ქალი სულაც არ იყოს, ვისი 51 წუთში ძლევაც დიდ ჰარი-ჰარალოს უნდა იწვევდეს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ უილიამსთა ოჯახი — თუნდაც მისი ერთი წარმომადგენლის სახით — კვლავაც კორტზეა.

ერთი ეგაა, რომ ქვედამუცელმოკეთებულ ვინუსს ახლა მცირედ მარცხენა კოჭი აწუხებს და მის ავისმოსურნეებსაც სწორედ მაგ ამბისა ეიმედებათ.

თუმცა თავად ვინუსი იმედიანადაა, გრძნობათა მოზღვავებას მარჯვედ უმკლავდება და ამბობს, რომ ახლა იმაზე უფრო ძლიერი და სტაბილურია, ვიდრე ტრავმამდე იყო. რაც შეეხება უსერენობას, ის აღიარებს, რომ მის გარეშე ყველაფერი სხვაგვარად, უფრო უხალისოდაა. ჩვენ ხომ ისე ვართ, როგორც პური და ყველიო, ღიმილობს ვინუსი და მის არაგულწრფელობაში ეჭვის შეტანა როგორღაც გვეთანაღრება.

ისე კი შეგახსენებთ, რომ მამა რიჩის 23 წლისა და ოთხგზის სლემტიტულოსან გოგოცუნას რაგინდარა საერთეულო სლემტიტული 2001 წლის აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ვეღარ მოუნაგრავს და ამაში დამნაშავე სწორედ მისი უმცროსი დაიკოა, ვინაც იგი უკვე ხუთ სლემფინალში გატყიპა.

საკუთრივ ავსტრალიის ღია პირველობაზე კი ვინუსი უკვე მეექვსედ გამოდის და, მართალია ჩემპიონი არასოდეს გაჰხდარა, მაგრამ წინა ხუთ ჯერზე სულ მცირე მეოთხედფინალში მაინც გადიოდა.

ნანადროლონევს

თითქოს ის არ ეყოფოდა, რომ ნანდროლონის მოშარდვის გამო შესაძლოა დიდი ჩოგბურთიდან ორი წლით მოკვეთონ, ვეტერან ბრიტანელ გრეგ რუზეიკის გასულ უქმეებზე კუჭის სალმობაც შეეყარა და ისედაც წამურდლული სამელბურნო მზადება სულ მთლად წაუმურდლა.

სწორედ ამის გამო იყო, გუშინ ალ კოსტას წინააღმდეგ რომ ვერაფერი გააწყო და სეტის მოუგებლად დამარცხდა. მას არც მისი საარაკო მოწოდება წაუვიდა, ბევრჯერ უნებლიედაც მიჰქარა და ვერც თუ კოსტასეულ ნერვებზე მომშლელ ნაუკანაზაზევ ხათქახუთქს აუღო ალღო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, რუზეიკის მელბურნობა გასრულდა. მისი საქმის მოსმენა კი 11 თებერვალს მონრეალში გაიმართება.

კანადური წარმომავლობის ბრიტანელი კი კვლავაც იმას ამბობს, რომ უდანაშაულოა, დოპინგი არასოდეს მიუღია და ნანდროლონი მის სხეულში ალბათ ეიტიპის მიერ ნებადართულ ბიოლოგიურ დანამატებთან ერთად შევიდა.

ფავორიტები

ენდი როდიკისა და ანდრე აგასის დარად სეზონის პირველი სლემტიტულის ძიება კაცთა ამქრის დანარჩენმა ფავორიტებმაც დამავჯერებლად დაიწყეს.

როჯერ ფედერერმა, ვინაც წინა კვირაში კოოიონგის საჩვენებელ ტურნირზე მის ქომაგებს გული მაინცდამაინც ვერ გაუხარა, გუშინ დიდებულად ითამაშა და ამერიკელ კვალიფიკანტ ბოგომოლოვ უმცროსს უმოწყალოდ გაუსწორდა.

მატჩმა 89 წუთს გასტანა და 22 წლის ალპელს რეიტინგსიაში 117-ე ადგილზე მდგომი მეტოქისთვის ერთი ბრეიკპოინტიც არ დაუთმია — მისი 9 ქულიანი დარტყმის წილ 42 დარტყმა მოაქუჩა და საერთოდაც შუშპრად გაირჯა.

მერე კი იყო პრესკონფერენცია, სადაც ფედერერმა ძირითადად ცნობილი ავსტრალიელი მეჩოგნის, პატ კეშის მიერ იქაური „სანდი თაიმსისთვის“ ახლახანს მიცემულ ინტერვიუზე ისაუბრა.

და, აი, რატომ:

საქმე ისაა, რომ ინტერვიუში კეში ფედერერს შემომწყრალა და „გაუმართლებელი“ უწოდებია შვეიცარიელის გადაწყვეტილებისთვის, ზედ ავსტრალიის ღია პირველობის წინ დასცილებოდა თავის ამაგდარ მწვრთნელ პეტერ ლუნდგრენს.

კიდევ მეტი: კეშის სიტყვით, ფედერერი თავისზე უფროსი მეგობარი ქალის, მიროსლავა ვავრინეჩის უზომო გავლენის ქვეშაა და ლუნდგრენის ასე უდროოდ გაშვებაც სწორედ მისი ჩაფუჩუნებით უნდა მომხდარიყოო.

მხიარულმა როჯერმა კეშის ამ მოსაზრებებს, ცხადია, სისულელე უწოდა. თქვა, რომ საერთოდაც არ ანაღვლებს, თუ რას ამბობს ეს, მისთვის სრულიად უცნობი ადამიანი და ასე შემდეგ. მოკლედ, თავი დამანებეთო, შემოგვიბღვირა და, ვინ იცის, ეგებ არც გაემტყუნებოდა.

არადა, კეშის ნათქვამი სისულელეს მართლაც არა ჰგავს და ეგ მიროსლავაც კაი შებერტყილი ვინმეს უნდა იყოს. მით უფრო, რომ თუკი ფედერერმა აქამდე რამეს მიაღწია, ეგ — მის ხალას ნიჭთან ერთად — უწინარესად იმ სქელუა ლუნდგრენის ძალისხმევით.

სხვაფრივ კი შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე ფედერერი უკვე მეხუთედ ჩოგნაობს და მეოთხე წრეს იქ ჯერ ერთხელაც ვერ გასცდენია.

ახლა კი ჰიუიტსა და ფერეროზე.

ჰიუიტი წლეულს საუცხოო ფორმაშია — უკვე მეცხრე მატჩი მოიგო და მეტოქეებზე უკვე ისე მჩხიბავად მოქმედებს, რომ ესინი ტრავმებს ალბენ და შეზედანა დროზე ადრე შარაგეტა ეხდებათ.

ასე მაგალითად, კოლოლ მოსულიანაც კოჭი გასულ შაბათს სწორედ მასთან ჩოგნაობისას დაიშავა. და ეგეგე დაემართა გუშინ სისილ მამიტსაც, ვინაც მოიას დარად კოჭი იტკინა და ჰიუიტს ერთი სეტი სულაც მუქთად ჩააბარა.

მეორე წრეში ჰიუიტის გრძნებათა წინააღმდეგ გაბრძოლება სლოვაკ კაროლ კუჩერას მოუწევს და თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კაცმა ლეიტონთან წლეულს უკვე ორჯერ (!) — ჰოპმანის თასსა და სიდნეიში — წაგება მოასწრო, ვინძლო მათი მომდევნო დაპირისპირების შედეგის გამოცნობა არც თქვენ გაგიჭირდეთ. თუმცა, ვინ იცის...

ხუან კარლოს ფერეროს კი ძალიან არ უყვარს თვისტომებთან თამაში, მაგრამ მისი პროფესია ხშირად მეგობრის ჩაჩოგნვასაც მოითხოვს, რაიც მას, თუკი ფორმაშია, ჩინებულად ჩოგანეწიფება.

ეს ამბავი თავის თავზე გუშინ ალბერტ მონტანესმაც იწვნია. როლანგაროსოსან თანამემამულესა და დოსტს მან მხოლოდ ორი გეიმი გამოჰგლიჯა და პირველი გათამაშებიდან სულ რაღაც 66 წუთის თავზე დანებდა.

ზეპური ამქრის ერთადერთი დანაკარგი გუშინ მეხუთე ნომრად განთესილი გილერმო კორია გამოდგა. თუმცა ეს ამბავი ბევრად არავის გაჰკვირვებია, რადგანაც არგენტინელმა წინა კვირაში ოკლენდობაზე ქვედამუცელი დაიჭიმა და არდადეგებზე ისედაც მოკიდებულ ჟანგს ზედ საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობაც წაამატა.

რეიტინგსიის 76-ეადგილოსან სირილ სოლნიესთან წაფორხილებაც სწორედ ამის შედეგად უნდა ჩავთვალოთ.

ეიმი

გეხსომებათ, ამ მელბურნობაზე კიმ კლაისტერსის მონაწილეობა სათუო გახლდათ, რაკილა ბუთქუნა ბელგიელმა ჰოპმანის თასზე კოჭი რომ იტკინა, ის ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია. მართალია, მარლენ ვაინგარტნერის ძლევა მოუშუშებელი ტრავმითაც შეიძლება, მაგრამ კიმი მაინც შიშობს — მცირე წაბორძიკება და ჩამცხრალი კოჭი შეიძლება ისევ დასივდეს.

ასე რომ კიმის თამაშისა და მისი შანსების შეფასებას მილეთში ჯერ არავინ ჩქარობს. იმას კი გეტყვით, რომ კოჭი კოჭად, მაგრამ სრულყოფილი არც კიმის სათამაშო ფორმას ეთქმის. ამის დასტურად მის მიერ გუშინ დაშვებული ხუთი ორმაგი და ოცდაშვიდიც უნებლიე შეცდომაც იკმარებდა.

ლევან კელაურაძე



REUTERS მელბურნიდან

ლეიტონ ჰიუიტთან მორკინალ სისილ მამიტს რქები არ შერჩა

„თეთრი გუშაგი“



სპილენძისფერი ანდები, სადაც თხუთმეტამდე ექვსიათასიანი მწვერვალია

შვიდი მწვერვალი.

აკონკაგუა

ანდებზე აღმართული ამერიკის უმაღლესი მწვერვალი აკონკაგუა (6926 მ) სიმაღლით მხოლოდ აზიაში მდებარე მსოფლიოს ცათამბჯენებს ჩამორჩება. თავის მხრივ ანდები მთელ სამხრეთ ამერიკაში ტროპიკული ჯუნგლებიდან აისბერგებამდე 8000 კილომეტრზეა გადაჭიმული და სიგრძეში 3-ჯერ აღემატება თვით ჰიმალაის. ამას გარდა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ვულკანებიც ანდებზეა თავმოყრილი.

და რაკი ჩვენი მზერა ანდებისა და მისი უმაღლესი მწვერვალებისკენაა მიპყრობილი, ჯერ მათ სახელთა მნიშვნელობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ანდები ინკების „ანტადან“ მოდის, რაც „სპილენძს“ ნიშნავს. დილაობით, როცა ანდების მწვერვალთა შიშველ კლდოვან ფერდობებს მზე ადგება, ისინი მართლაც სპილენძისფრად ელვარებენ.

რაც შეეხება აკონკაგუას, ესეც ინკურად „თეთრ გუშაგს“ ნიშნავს, რაც ზედგამოჭრილია ამ თოვლიანი მწვერვალისთვის, რომელიც დარაჯივით ზემოდან დასცქერის სამხრეთ და საერთოდ მთელს ამერიკას.

ერთ დროს აკონკაგუა 7000-იან მწვერვლად იყო მიჩნეული. მერე დადგინდა, რომ მას იქამდე 74 მეტრი აკლია. თუმცა, იგი ასეთი სიმაღლითაც აზიის გარდა ყველა კონტინენტის უმაღლეს პიკს ზემოდან დასცქერის.

როგორც ჰიმალაიზე, ყარაყორუმზე, კავკასიონზე თუ სხვაგან აღმართულ მწვერვალებზე, ანდების პიკებზეც დასავლეთ ევროპელებმა განახორციელეს პირველასვლები. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასეა მიჩნეული. თუმცა, ამ მხრივ მათ ჩრდილოეთ ამერიკაში აცტეკთა ბელადმა მონტესუმამ დაასწრო და 1502 წელს მექსიკაში აღმართულ ვულკანურ პოპოკატეპეტლიდან (5452მ) გადმოიხედა. მონტესუმა იქ ვულკანიზმის შესასწავლად ავიდა და კრატერშიც ჩაიხედა, სადაც აცტეკები ოდითგანვე გოგირდის მოსაპოვებლად ადიოდნენ.

მონტესუმას ამბავმა ალბათ იქვე, ყურის ძირში მდებარე სამხრეთ ამერიკასაც მიაღწია, იქიდან კი ინკების ბილიკებით უმალ მთელს კონტინენტზე გავრცელდა. ეს ინკები ხომ ძველი რომაელებივით კარგი გზების მშენებლები იყვნენ და მშვენიერი „ბილიკებით“ ლამის მთელი კონტინენტი 1600 კმ-ზე დაეფარათ. თანაც ამ გზებზე ინკების ბელადთა მალემსრბოლნი ესტაფეტურად დღეში 400 კილომეტრს ფარავდნენ.

ასე რომ, ინკებს აცტეკთა ბელადის ამბავი სწრაფად უნდა შეეტყოთ. ინკებს მეზობლებისა სულაც არ უნდა გაჰკვირვებოდათ, რადგან თავადაც მიილტვოდნენ მიუვალი მთებისკენ და გზები იქაც გაჰყავდათ. მათ ციცაბო ფერდობებთან კიბეები მოუწყვიათ, სადაც გაუვალი კლდე შეხვედრიათ, გაურღვევიათ, გვირაბი გაუყვანიათ და მერე მეორე მხარეს ამგვარად გაულწევიათ, იქ კი, სადაც უფსკრულს გადაჰყრიან, ხიდი დაუკიდიათ. ერთი ეგ იყო, ბარში 6 მეტრი სიგანის გზები, მთაში 1,5 მეტრამდე დაუვიწროებიათ, ამგვარად 4000 მეტრამდეც ასულან და იქ საკულტო ქალაქები გაუშენებიათ, მათ შორის ფანტასტიკური მაჩუ პიკჩუ.

ედვარდ ფიცჯერალდი

შემორჩენილია 5180 მეტრ სიმაღლეზე გაშენებული კედელიც.

და ეს მაშინ, როცა ამ და სხვა სასაწაულების შემქმნელ ინკებს არც დამწერლობისა გაეგონათ რამე, არც ბორბლის არსებობაზე ჰქონდათ წარმოდგენა და ცხენიც არ ენახათ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ანდების ფერდობებს, სადც 1957 წელს 5200 მეტრის სიმაღლეზე შინაური ცხოველის გაყინულ სხეულს მიაგნეს, 6000 მეტრზე, პერუს სამხრეთით კი აღმოაჩინეს სამარხიც, ხოლო 6400 მეტრზე ცხოველთა სადგომიც.

და რაღა დარჩა მწვერალამდე? თუმცა, დარჩა კი არა, ეს უკვე მრავალ მწვერვალზე მაღალი ადგილია, რადგან ანდების საშუალო სიმაღლე 3500 მეტრია, ხოლო 6000-იანი მწვერვალები 15-მდე რომ აღწევს, ყველანი ასეთი სიმაღლის როდი არიან.

ვარაუდობენ, რომ ინკები კოლუმბისა და ესპანელ კონკისტადორთა გამოჩენამდე ანდების ასამდე მწვერვალზე არიან ასულნი. მათ შორის „თეთრ გუშაგზეც“. ყოველ შემთხვევაში აკონკაგუას ფერდობებზე 6600 მეტრის სიმაღლეზეც მიაგნეს ინკების კვალს.

რაც შეეხება აკონკაგუაზე ასვლის სირთულეს, ეს, როგორც ხვდებით, დიდ პრობლემას სულაც არ წარმოადგენს. ეგ კი არა, 1985-86 წლების დეკემბერ-იანვარში ესპანელმა ფერნანდო გამოდომ აკონკაგუას ისევე შეუტია მოტოციკლეტით, როგორც ჩვენებურმა ალექსანდრე ბერბერაშვილმა იალბუზს. მართალია, იმ მოტოციკლეტმა ესპანელი ქართველივით ბოლომდე ვერ აიყვანა მწვერვალზე (თუ პირიქით მოტოციკლეტი ვერ აათრია), მაგრამ იქამდე ბევრიც აღარაფერი, უფრო ზუსტად, 55 მეტრიღა დააკლდა.

ასე იყო თუ ისე, ფერნანდო გამოდოს „რკინის ცხენი“ ალექსანდრე ბერბერაშვილისაზე ზემოთ 66-დღიანი ჯაბირის მერე მთელი 1229 მეტრით მაღლა აღმოჩნდა. ასეთ სიმაღლეზე კი, არც მაშინ და არც მას მერე მოტოციკლეტის ტრახტრახი არავის გაუგონია.

მიუხედავად იმისა, რომ აკონკაგუაზე ასვლა ტექნიკურად დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ფიზიკური თვალსაზრისით ეს არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აკონკაგუას მაცდურ გზას ბევრი მთამსვლელი შეუცდენია, თავის იოლ გზაზე შეუტყუებია და მათი სიცოცხლე მსხვერპლადაც მიუღია, რითაც კვლავ და კვლავ დაუდასტურებია, რომ მთასთან, არც დიდთან და არც პატარასთან, ხუმრობა არ შეიძლება.

აკონკაგუაზე ასვლა დიდ ფიზიკურ ჯაფას რომ მოითხოვს, ეს თავის მხრებზე იწვნია პირველი ექსპედიციის მეთაურმა, ინგლისელმა ედვარდ ფიცჯერალდმაც.

ავთანდილ გურასაშვილი

დასასრული იქნება

ინკების ბილიკებით ანდებისკენ

მაჩუ პიკჩუ — სასწაული 4000 მეტრზე

ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების გათამაშებას მოკრივეები ორიოდ თვეში ჩაატევენ. 19 თებერვლიდან, ხორვატიულ პულაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე საგზურებს ნახევარფინალში გასულები მიიღებენ. მარტსა და აპრილში დაგეგმილ სალიცენზიო ტურნირებზე კი ზოგიერთისთვის შეიძლება ვერცხლმაც აღარ იკმაროს. თუ სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორ ვლადიმერ ჭანტურიას არ ჩავთვლით, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ახალგაზრდულია, თუმც ფედერაციის თავკაცთა აზრით, საკმაოდ იმედისმომცემიც. მოახლოებულ ტურნირებსა და ჩვენი სპორტსმენების შანსებზე გენერალურ მდივან ზურაბ კიკნაველიძის მონათხრობით უკეთ შეიტყობთ

ხელს გავიქნევთ და გვეშველება

ქართველი მოკრივეები იმედს არ კარგავენ

„გასულ ოლიმპიადაზე საქართველო ორი მოკრივით წავიდა და მათგან ერთმა მედალი აიღო. წლეულს, მართალია, ნაკრებში ბევრი ახალი სახეა, მაგრამ უკეთესი შედეგის ჩვენება მაინც რეალურია. ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობა უკვე ცნობილია, მაგრამ გამორიცხული არაა ხორვატიული ტურნირის შემდეგ მასში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. ამჟამად ევროპაზე წამსვლელი ათი მოკრივე მთავარ მწვრთნელ თენგიზ მესხაძესთან ერთად ბაკურიანშია. ეს შეკრება ორკვირიანია და ძირითადად ფიზიკურ მომზადებას ეთმობა. მასზე მოკრივეთათვის სპარინგების გაყოლებას თავი ამიტომაც ავარიდეთ. ბაკურიანიდან დაბრუნების შემდეგ ბიჭები ოთხი-ხუთი დღე დაისვენებენ, ხოლო 1-16 თებერვალს გლდანის დარბაზში დაგეგმილ ფართომასშტაბიან შეკრებაზე უკვე სრულად დაიტვირთებიან.

კრივს სხვა საბრძოლო საშუალებებისგან განსხვავებული სპეციფიკა აქვს. თუ მოკრივე ასი პროცენტით მზად არაა, მისი ტურნირზე წასვლა უაზრობაა. წარმატების შანსზე ლაპარაკს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება ისეთი ტრავმა მიიღოს, წლები გაუცდეს. ფინანსური სიდუხჭირე მთელი ქართული სპორტის ტკივილია და გამონაკლისნი არც ჩვენ ვართ, თუმცა წინასწარი გეგმით ვარჯიშს მაინც ვახერხებთ და ამაში ოლიმპიური ფონდი გვეხმარება. რომ არა მათი გვერდში დგომა, ლიცენზიებზე ოცნებას ვინღა ჩივის, შეიძლება ევროპის ჩემპიონატზე ვერც წავსულიყავით. ახლა კი ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ხორვატიაში 10 წონაში ვიასპარეზებთ და იმედია ათენის საგზურებს სალიცენზიო ტურნირების დაწყებამდე დავიბევებთ. გარწმუნებთ, იქ ამის მიღწევა ბევრად ძნელი იქნება. ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიადის მასპინძლებს 6 წონა პირდაპირ აჩუქა. თან ბერძნები სასურველ წონებს თავად აირჩევენ. დარჩენილ ორ სალიცენზიო ტურნირზე ლიცენზიები ოქრო-ვერცხლის მომგებებს ერგებათ, თუმც ზემოაღნიშნულ ექვს წონაში ათენში მხოლოდ ჩემპიონებს გაუშვებენ.“

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ნაკრები

51კგ — ნიკა იზორია (ფოთი)
54კგ — ლაშა ოჩიგავა (ფოთი)
57კგ — კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი)
60კგ — ავთანდილ კაშია (ქუთაისი)
64კგ — კახაბერ ჟვანია (ფოთი)
69კგ — მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი)
75კგ — ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა)
81კგ — დავით წიკლაური (თბილისი)
91კგ — დიმიტრი ფუხაევი (ცხინვალი)
+91კგ — ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი)



სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვლოდიმერ ჭანტურია ისევ ნაკრებშია

გამჭვირვალობა განა ყველაფერში ვარგა

სისწრაფეზე დამყარებულ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში ნელ-ნელა საინტერესო ტრადიცია მკვიდრდება. ბოლო წლებში ზოგიერთი ქვეყნის სპორტსმენებმა სარბიელზე ისეთი სამოსით იწყეს გამოსვლა, შიშველ სხეულს ოდენ განსხვავებულ ფერად რომ ეტყობა. ახალი ფორმის უპირატესობად ჰაერის წინაღობის შემცირებას ასახელებენ. თან გარდა იმისა, რომ რეკორდებმა მართლაც იმატა, მაყურებელთა დასწრებაც საგრძნობლად გაიზარდა.

ცურვის ცქერისას, ბუნებრივია, ტანზე მოტკეცილ სამოსს ნაკლები ყურადღება ექცევა. მოციგურავე ქალბატონთა მაყურებელ საპირისპირო სქესს კი უბრალოდ სპორტული სანახაობით ტკბობის გარდა თავში ბევრი არასპორტული აზრიც დაუტრიალდება.

წინ იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატია და აქედანვე შეიძლება გირჩიოთ, განსაკუთრებული ყურადღება კანადელ მოციგურავე ქალბატონებს მიაქციოთ. მათი ახალი ფორმა უკვე კანადის ნაციონალურმა ფედერაციამაც მოიწონა, მაგრამ წინააღმდეგნი თავად სპორტსმენები არიან —ამ „ტანსაცმელში“ ყველაფერი გვიჩანსო. სპრინტერმა კრისტინა მაიერსმა პროტესტის ორიგინალური ხერხი მოიგონა.



შემომხედეთ! ამ სამოსში ყველაფერი მიჩანს: ღაღადებს კანადელი მოციგურავე კრისტინა მაიერსი

ისე რა მომხიბვლელმა ქალბატონმა ნახევრადგამჭვირვალე სამოსის შიგნით ქათქათა ტრუსი ჩაიცვა, რომელზეც კანადის სიმბოლო ნეკერჩხლის ფოთოლია გამოსახული. ამ ჩაცმულობით მაიერსს ახლო მომავალში ქალაქში გასეირნებაც გადაუწყვეტია, თავისი „სატკივარი“ ხალხს რომ დაანახვოს. აქციის მასობრიობა აქედანვე გარანტირებულია, თუმც ვინ რა განზრახვით გამოვა ქუჩაში და გამოიღებს თუ არა სპრინტერის მცდელობა სასურველ შედეგს, ძნელი სათქმელია.

ოთარ მაღლაკელიძე

რეგულარული ჩემპიონატი

ანაჰაიმი — კალგარი: უკომენტაროდ

REUTERS ანაჰაიმიდან

ლინდროსი მართლა შერყეული ყოფილა

ტვინის შერყევებმაც ვერ მოარყია

19 იანვარი

ტამპა 4:5 კოლორადო
1:2 3:1 0:1 0:1

1:0 მოდინი (5), 1:1 საკიკი (11), 1:2 სკოულა (14), 2:2 აფანასენკოვი (25), 3:2 ტეილორი (32), 3:3 ტანგეი (30), 4:3 ფედოტენკო (38), 4:4 ჰეიდუკი (54), 4:5 ჰეიდუკი (61)

„კოლორადო“ მხოლოდ პეტერ ფორსბერგით როდია ძლიერი. აგერ, ახლაც ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი „ეველანშის“ ლიდერს, მაგრამ გუნდს არაფერი დასტყობია. შვედის არყოფნაში მისივე სამეულის წევრმა მილან ჰეიდუკმა იკისრა ყოჩობა და ორი გოლი და ორიც პასი მითვალა. შესანიშნავი დარტყმით მან ოვერტაიმში ჩაიკოკლოზინა პირი. ჰეიდუკის გარღვევა დამატებითი დროის პირველივე წუთებზე შეაჩერეს მცველებმა წესების დარღვევით და ბულიტსაც გამოჰკრეს ხელი. ჩეხს ბოლო 8 დღის განმავლობაში მეორედ მოუხდა ბულიტის შესრულება და იგი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო — კარს მიახლოებულმა ისე მოულოდნელად დაარტა, რომ „ტამპას“ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინმა განძრევაც ვერ მოასწრო.

„საინტერესო ფინიში იყო. ოვერტაიმში არცთუ ხშირად იხილავთ ბულიტს“ — თქვა ნამატჩევს ჰეიდუკმა, ჩვენ კი დავძენთ, რომ ამ სეზონში ოვერტაიმში ბულიტით გოლი მესამედ გავიდა.

აილენდერსი 5:2 ოტავა
1:0 1:0 3:2

1:0 ბლეიკი (20), 2:0 რონინგი (24), 2:1 ნილი (43), 2:2 ალფრედსონი (44), 3:2 ჰამრლიკი (48), 4:2 კვაშა (48), 5:2 რონინგი (54)

ბედიც ამას ჰქვია, კლიფ რონინგი ახლახან დაბრუნდა ლიგაში და ზედიზედ მეორე მატჩია, ყინულზე ხვდება. ამ ყველაფერს იაშინის ტრავმას უნდა უმადლოდეს. ნიუიორკელები სწორედ მისი შემცვლელის ძიებაში მიადგნენ რონინგს, თორემ წინა სეზონში „მინესოტაში“ მოასპარეზე ვეტერანის აყვანა არავინ მოისურვა და 38 წლის ჰოკეისტი ერთ-ერთ სამოყვარულო ლიგაში ახარებდა თავის ჭიას. „აილენდერსის“ ბოსებს გაუმართლათ. წინა მატჩში, რომელიც კლიფისთვის 1100-ე იყო, მან სეზონში პირველად გაიტანა, ამჯერად კი დუბლის წყალობით 300-შაიბიან ზღვარს უწია.

ბოსტონი 5:2 რეინჯერსი
2:0 2:1 1:1

1:0 ტორნტონი (3), 2:0 როლსტონი (6), 3:0 მიურეი (28), 3:1 საიმონი (35), 4:1 სამსონოვი (37), 5:1 შლეგრი (50), 5:2 ლინდროსი (51)

ფილადელფიელ ერიკ ლინდროსს ლომის გული აქვს თუ მთლად ჭკუიდან შეიშალა, ვერ გაიგებ. კაცს კარიერის განმავლობაში 8(!)-ჯერ ჰქონდა ტვინის შერყევა და თამაშს თავს მაინც არ ანებებს. მეტიც, იგი იოტისოდენადაც არ შეცვლილა, ისევ ჩვეულ ხისტ ჰოკეის თამაშობს. ამ მატჩში ხომ ყველა გააოცა, როცა კარგა ხნის პაუზის შემდეგ კვლავ ჩხუბში ჩარევა გარისკა. თან ვის, ჯო ტორნტონს შეერკინა, კაცს, რომელიც მაღალი ოსტატობის გარდა, ფეთქებადი ხასიათითაც გამოირჩევა და, წარმოიდგინეთ, დაჯაბნა კიდეც — მისი უძლიერესი ჭუკის შემდეგ „ბოსტონის“ ლიდერს თვალი დაუზიანდა და პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს. დარჩენილ დროში ბოსტონელებმა არაერთხელ სცადეს, ანგარიში გაეყაიმებინათ. საბოლოოდ დან მაკგილისმა „გაათანაბრა“ — მან დარიუს კასპარაიტისი გამოიყვანა მწყობრიდან. საინტერესოა, რომ ტორნტონმა ჩხუბამდე გოლით და პასით თავად ჩაუყარა საფუძველი მოგებას.

ფლორიდა 1:2 სენტ ლუისი
1:1 0:0 0:0 0:1

1:0 იოკინენი (10), 1:1 დემიტრა (14), 1:2 დემიტრა (61)

ანაჰაიმი 1:5 კალგარი
1:0 0:3 0:2

1:0 ფიოდოროვი (19), 1:1 ლაუდმანი (27), 1:2 ჟელინა (33), 1:3 საპრიკინი (35), 1:4 გრინი (50), 1:5 კლარკი (52)

ნეშვილი 2:0 მინესოტა
0:0 1:0 1:0

1:0 ორზაგი (31), 2:0 ერატი (43)

სან ხოსე 2:1 დეტროიტი
1:0 1:0 0:1

1:0 ჰარვი (18), 2:0 დიმიტრაკოსი (36), 2:1 აიზერმანი (50)

ვანკუვერი 2:3 დალასი
1:2 1:1 0:0

0:1 ტარჯონი (5), 1:1 ლინდენი (15), 1:2 გერინი (18), 1:3 ოლივერი (31), 2:3 მორისონი (36)

REUTERS ზალპარაისოდან

ეფიცხებიან

ეს მელბურნის მზეა. კორტზე ავსტრალიის ღია პირველობა გახურებულა, მის პირად კი ჩოგბურთის მოყვარე გოგოშვები მზეს ეფიცხებიან. მოგეხსენებათ, სამხრეთში ახლა ზაფხულია.



REUTERS ნიუ იორკიდან

სიმწრის სიცილი

დონეიელ მარშალმა საუცხოოდ ითამაშა ამ მატჩში, მაგრამ „ტორონტო რეპტორებმა“ ბაიც წაგებული ითრეში „ნიკსთან“, 74:90. თავად მარშალმა 21 ქულა მოაგროვა, თუმცა ეს ოდენობა გამარჯვებას არ ეყო.

REUTERS ბალმა დეე მალიორკიდან

ტი მობილი მზადაა

მალიორკაზე „ტი მობილის“ გელოგუნდის პრეზენტაცია გაიმართა. გუნდის ლიდერ იან ულრიხს თითოეულ უჭირავს თავისი მერანი. ლიდერს მხარმარჯვნივ ერიკ ზაბელი უდგას, მარცხნივ კი ალექსანდრ ვინოკუროვი. მეორე რიგში მარცხნიდან ჩამწკრივებულან: ტომაშ კონეჩნი, ტორსტენ ჰაიკმანი, ანდრეას კლოდენი და მათიას კესლერი.

REUTERS ვალპარაისოდან

თამაშის წინ

ვალპარაისოში დღეს შეხვდებიან არგენტინისა და ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრებები. ათენის ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლაში, ცხადია, ჩაბმულა ახალი თაობის საუკეთესო არგენტინელი ფეხბურთელი კარლოს ტევესი, რომელიც ბიჭუნებს ავტოგრაფებს ურიგებს.

მოსაგები თასი

ასე გამოვიდა, რომ რუმინელ ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასზე შვეიცარიელებს უმასპინძლებს ბუქარესტში. ამისთვის კარგად გამართული კორტია საჭირო. ქალაქმა, რომლის მერიც ჩოგბურთის ლეგენდა ილიე ნასტასე იყო, საფრანგეთში დაუკვეთა საგანგებო თიხნარი, ჯამურად 70 ტონა და ფრანგ მუშებსავე აგებინებს. მიზეზი ერთია, რუმინელებს თიხნარზე თამაში უფრო ემარჯვებათ და მიაჩნიათ, რომ მეტოქეს ასე უფრო იოლად სძლევენ.

REUTERS ბუქარესტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge